**პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრა:** აღნიშნული გადაცემა პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება„ რაც გულისხმობს: 2.1. ისტორიული, ისტორიულ-პუბლიცისტური გადაცემები: ისინი თემატურად უნდა ასახავდეს საქართველოს წარსულს, ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქართულ-ევროპული დიალოგის ისტორიას, ამ პროცესში მონაწილე მოღვაწეთა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა წვლილს, რუსული ცარისტული პოლიტიკის, ბოლშევიზმისა და საბჭოთა წარსულის შეფასებას, სახელმწიფო ინსტიტუტების (ჯარი, სასამართლო სისტემა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება) ისტორიასა და თანამედროვე აქტუალურ საკითხებს.2.5. გადაცემები კულტურის შესახებ: ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ წარსულის და თანამედროვე ტენდენციების ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილ პროდუქციაზე /მაგალითად: სატელევიზიო თეატრი და სატელევიზიო ფილმების სტუდია - ქართული ტელეფილმი, რომელთა მიერ შექმნილი ტელესპექტაკლები და ფილმები უნიკალურია ქართულ ტელესივრცეში/. 2.6. გადაცემები მრავალფეროვნების შესახებ: საქართველოს ეთნიკური, კულტურული, სოციალური, ენობრივი, რელიგიური

მრავალფეროვნების ასახვა, ამ ჯგუფების ისტორიის, ყოფის, მათ მიერ ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილის, მათი თანამედროვე პრობლემების და ინიციატივების მაქსიმალური წარმოჩენით. 2.7. უცხოური კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ ისტორიული და თანამედროვე ტენდენციების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური მასალის მაქსიმალური ინტეგრირება მაუწყებლის პროდუქციაში. 2.8. გადაცემებმა ადამიანის უფლებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით უნდა ასახოს შემდეგი საკითხები: ა) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო და სამოქალაქო პროცესები ბ) ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესები გ) ადამიანის უფლების დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები დ) სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობა ე) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი, თანამედროვე ქართველი ავტორების მხატვრული და დოკუმენტური მასალა ვ) უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული მასალა.

17. **ქართული დოკუმენტალისტიკა** - ყოველ კვირას 20:30-ზე

**სამიზნე აუდიტორია:** ეს პერიოდი მთლიანად ეთმობა საზოგადოებრივ -პოლიტიკური და შემეცნებითი გადაცემების მოყვარულებს.

**პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრა:** აღნიშნული გადაცემა პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება„ რაც გულისხმობს: 2.1. ისტორიული, ისტორიულ-პუბლიცისტური გადაცემები: ისინი თემატურად უნდა ასახავდეს საქართველოს წარსულს, ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქართულ-ევროპული დიალოგის ისტორიას, ამ პროცესში მონაწილე მოღვაწეთა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა წვლილს, რუსული ცარისტული პოლიტიკის, ბოლშევიზმისა და საბჭოთა წარსულის შეფასებას, სახელმწიფო ინსტიტუტების (ჯარი, სასამართლო სისტემა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება) ისტორიასა და თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე. 2.5. გადაცემები კულტურის შესახებ: ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ წარსულის და თანამედროვე ტენდენციების ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილ პროდუქციაზე /მაგალითად: სატელევიზიო თეატრი და სატელევიზიო ფილმების სტუდია - ქართული ტელეფილმი, რომელთა მიერ შექმნილი ტელესპექტაკლები და ფილმები უნიკალურია ქართულ ტელესივრცეში/. 2.6. გადაცემები მრავალფეროვნების შესახებ: საქართველოს ეთნიკური, კულტურული, სოციალური, ენობრივი, რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა, ამ ჯგუფების ისტორიის, ყოფის, მათ მიერ ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილის, მათი თანამედროვე პრობლემების და ინიციატივების მაქსიმალური

წარმოჩენით. 2.7. უცხოური კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ ისტორიული და თანამედროვე ტენდენციების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური მასალის მაქსიმალური ინტეგრირება მაუწყებლის პროდუქციაში. 2.8. გადაცემებმა ადამიანის უფლებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით უნდა ასახოს შემდეგი საკითხები: ა) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო და სამოქალაქო პროცესები ბ) ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესები გ) ადამიანის უფლების დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები დ) სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობა ე) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი, თანამედროვე ქართველი ავტორების მხატვრული და დოკუმენტური მასალა ვ) უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული მასალა.

18. **„უცნობი მუსიკა“** -ყოველ კვირას 21:20

**სამიზნე აუდიტორია:** განსაზღვრულია განსაკუთრებული მუსიკით დაინტერესებული აუდიტორიისთვის.

**პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრა:** აღნიშნული გადაცემა პასუხობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტს: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება„ რაც გულისხმობს: 2.5. გადაცემები კულტურის შესახებ: ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ წარსულის და თანამედროვე ტენდენციების ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილ პროდუქციაზე /მაგალითად: სატელევიზიო თეატრი და სატელევიზიო ფილმების სტუდია - ქართული ტელეფილმი, რომელთა მიერ შექმნილი ტელესპექტაკლები და ფილმები უნიკალურია ქართულ ტელესივრცეში. 2.7. უცხოური კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ ისტორიული და თანამედროვე ტენდენციების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური მასალის მაქსიმალური ინტეგრირება მაუწყებლის პროდუქციაში

საეთერო ბადეში ასევე განთავსებულია 2 ახალი სერიალი. საღამოს ეთერში „ბანქოს სახლი“ და დღის ეთერში დეტექტიური ჟანრის დრამა „ქესლი“. რაც ასევე განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოს მიერ გაწერილ პრიორიტეტში: „სერიალები და საბავშვო გადაცემები“.
შემოდგომის ეთერი განსაკუთრებულად დატვირთული იყო სპორტული ტრანსლაციებით და რეპორტაჟებით. რაც ეხმიანება პროგრამულ პრიორიტეტს: „გართობა და სპორტი“.

საზოგადოებივი მაუწყებლის მიერ მიღებული და კომისიის მუშაობის შედეგად საუკეთესოებად გამოვლენილი ტელე და რადიო (ასევე მულტიპლატფორმული) პროექტების ეთერში განთავსება უახლოეს მომავალში იგეგმება. ეს არის გადაცემა: **“ევროატლანტიკური**

**საქართველო", "ერთად ევროპისკენ"** (პროგრამული პრიორიტეტი: „ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები"-ე)საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების/პროცესების ასახვა ვ) საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა ზ) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასახვა, თ) მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვისას შეფასებათა/პოზიციათა მრავალფეროვნების ასახვა ი) ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვა კ) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვა ლ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცესების ასახვა მ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენების ასახვა), **„მსოფლიოს მუზეუმები"**, **„ადამიანი კამერით"**, **„რადიობლოგერი"**, **„მუსიკოლოგოსი"**, **„ზარი ახლობელთან"**, **„ჩვენი ქალაქის პატარა ამბები"**, **„ცივი შხაპი"** (პროგრამული პრიორიტეტი: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება"), **„ჩვენი საქართველო"** (პროგრამული პრიორიტეტი: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება"-2.8. ვ) უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული მასალა.), საბავშვო გადაცემა **„წიგნების თარო"** (პროგრამული პრიორიტეტი: სერიალები და საბავშვო გადაცემები), **„ფერმა"** (პროგრამული პრიორიტეტი: „შემეცნება, კულტურა და საზოგადოება"- 2.3. გადაცემები ეკონომიკასა და ბიზნესზე: უნდა მომზადდეს გადაცემები, რომლებიც გააშუქებს ეკონომიკისა და ბიზნესის, მათ შორის - სოფლის მეურნეობის საკითხებს: გააცნობს მიმდინარე მოვლენებს და მიაწოდებს ინფორმაციას ინოვაციების და თანამედროვე ტენდენციების შესახებ, რომლებიც დაეხმარება მოქალაქეებს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გააზრებაში, თანამედროვე ბიზნესგარემოსთან ადაპტაციაში, საკუთარი საქმის წამოწყებაში ან მეურნეობის რაციონალურ გაძღოლა-დაგეგმვაში.) **„ზღვარზე"** (პროგრამული პრიორიტეტი: „ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები"-1.1. ი) ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვა კ) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების).

გარდა ამისა, მზადების პროცესშია სალომე ასათიანის „ინტერვიუ" და გადაცემა „ცხოვრება ციფრებში". ეს ორი გადაცემა ასახავს პროგრამულ პრიორიტეტს „ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები".

**გადაცემების/პროექტების პროგრამულ პრიორიტეტებთან თანხვედრის მატრიცა**

| ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები | შემეცნება, კულტურა და საზოგადოება | გართობა და სპორტი | სერიალები და საბავშვო გადაცემები |
|---|---|---|---|
| მოამბე | დილა პირველზე | სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად | წიგნების თარო |
| გამომძიებელი რეპორტიორი | პირადი ექიმი-მარი მალაზონია | სპორტის რეპორტაჟები | |
| მთავარი | სიტყვების თამაში | | |
| ევროატლანტიკური საქართველო | რეალური სივრცე | | |
| ერთად ევროპისკენ | ტელებლოგი | | |
| ზღვარზე | კომუნიკატორი | | |
| ინტერვიუ | ხანმოკლე მეოცე საუკუნე | | |
| ცხოვრება ციფრებში | ტრანსმისია | | |
| ეკონომეტრი | გურმანია | | |
| | წითელი ზონა | | |
| | ქართული დოკუმენტალისტიკა | | |
| | უცნობი მუსიკა | | |
| | მსოფლიოს მუზეუმები | | |
| | ადამიანი კამერით | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | რადიობლოგერი | | |
| | მუსიკოლოგოსი | | |
| | ზარი ახლობელთან | | |
| | ჩვენი ქალაქის პატარა ამბები | | |
| | ცივი შხაპი | | |
| | ჩვენი საქართველო | | |
| | ფერმა | | |

უახლოესი მომავლის პრიოპრიტეტად დასახულია იუმორისტული და საბავშო გადაცემების შერჩევა და მომზადება.

ორიგინალური პროდუქციის გარდა ბადეში განთავსებულია მექანიკური პროდუქცია (კონცერტები, დოკუმენტური ფილმები, პრემიუმ სერიალები (ევროპული და ამერიკული), მულტფილმები.)

**სერიალები:**

| გასვლის დრო | სათაური | სერიები | დაწყება | დასრულება |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | Cento Vetrine | | ახლა | იანვარი 2017 |
| | | | | |
| 12:30 | Revenge | 91 | 12 იანვარი | 15 მაისი |
| | Devious Maids | 39 | 15 მაისი | 15 ივლისი |
| | | | | |
| 17:00 | Castle | 151 | 20 ნოემბერი | 20 ივნისი |
| | Suits | 70 | 20 ივნისი | 1 ოქტომბერი |
| | | | | |
| 21:00 | House of Cards | 39 | 2 ნოემბერი | 24 დეკემბერი |
| | Downtown Abby | 51 | 12 იანვარი | 20 მარტი |
| | The Americans | 52 | 20 მარტი | 25 მაისი |

## დილის შემეცნებით-გასართობი პროგრამა ,,პიკის საათი“

საზოგადოებრივი რადიოს დილის შემეცნებით-გასართობი პროგრამა ,,პიკის საათი“ პირდაპირი ეთერის რეჟიმში მაუწყებლობს ყოველდღე /შაბათ-კვირის გარდა/ 07:30-დან 10:00-მდე. რადგან გადაცემის ფორმატი თემატურ და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას მოითხოვს, ,,პიკის საათის“ შემოქმედებითი ჯგუფი ცდილობს მომზადებული მასალის მსმენელამდე მიტანის ფორმებიც მაქსიმალურად საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. გრძელვადიან პერსპექტივაში გადაცემის მხოლოდ ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება. სხვა შემთხვევაში, რედაქცია ოპერატიულად მოიპოვებს და ანაწილებს პირდაპირ ეთერში გადასაცემ მასალას.

გადაცემის სამიზნე აუდიტორია მოცავს საზოგადოების თითქმის ყველა ფენას - მათ, ვინც ადრიანად იწყებს სამუშაო დღეს და მათაც, ვინც სახლშია, ან გზად სამსახურისკენ,

პროდიუსერი: ეკა ტალხაძე.

წამყვანები: ლანა ბლაიძე და დავით ველიჯანაშვილი /30 ნოემბრიდან დავით ველიჯანაშვილი ტოვებს რედაქციას. საზოგადოებრივი რადიოსა და რედაქციის ხელმძღვანელობა წამყვანის შერჩევის პროცესშია.

კორესპონდენტები: ეკა ხიტარიშვილი და მარიამ ჩოჩია.

პროგრამული პრიორიტეტებიდან შემეცნებთი მასალის მომზადება, კულტურის პოპულარიზაცია და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად თემების საეთეროდ შერჩევა ,,პიკის საათი“ უშუალო ვალდებულებაა. შესაბამისად, ყოველდღიურად, პირდაპირ ეთერში სტუმრებს ორ განსხვავებულ საათობრივ ზოლში ვიწვევთ განსხვავებულ თემებზე სასაუბროდ;

მზადდება სიუჟეტები, რეპორტაჟები, საინტერესო პიროვნებების პორტრეტები, თემატური რუბრიკები /მათ შორის, არა მხოლოდ ჩანაწერების სახით, მეტწილად პირდაპირი ეთერის რეჟიმში/;

საჭირო ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემის მიზნით ვიყენებთ სატელეფონო და skype ჩართვების პრინციპს;

აქტიურად ვთანამშრომლობთ ქართულ დიასპორასთან /ამ ნიშნით განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს უცხოეთის ქართულენოვანი რადიომაუწყებლობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა/;

ხშირად მივმართავთ დამოუკიდებელი მედია პროექტების მეთოდიკას. მაგალითად: რედაქციაში სტაჟირებისათვის მივლინებულ სტუდენტებში სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით პირდაპირ ეთერში ჩავუშვით რუბრიკა ,,ახალი ხმა", რომელსაც თავად პრაქტიკანტები ამზადებდნენ და უძღვებოდნენ პირდაპირ ეთერში.

ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების მიზნით აქტურად ვთანამშრომლობთ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან. მააგალითად, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მედია სტუდიასთან, რომელსაც კვირაში ერთჯერ ახალგაზრდული რუბრიკის მომზადების საშუალებას ვაძლევთ.

შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ საქართველოს რეგიონებიდან ცოცხალი რეპორტაჟების მომზადებას. სტუდიურ რეჟიმში კი მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა კუთხის კულტურული, თუ სოციალური პრობლემატიკის გაშუქებას.

ვთანამშრომლობთ საელჩოებთან და ნიშნით ,,კულტურათა დიალოგი" მსმენელს ჟანრობრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ვთავაზობთ მრავალფეროვან მასალას.

,,პიკის საათის" ხშირი სტუმრები არიან როგორც მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე, ასევე ახალგაზრდა მეცნიერები.

პერიოდულად, პროფესიულ საკითხებზე მსჯელობისა და ანალიზისათვის, ეთერში ვიწვევთ მეგობარი ტელე და რადიო კომპანიების წარმომადგენლებს.

,,პიკის საათის" ეთერში ახალი მუსიკალური მასალის რადიო წარდგინება, ხშირ შემთხვევაში, ცოცხალი შესრულების პრინციპით ხდება.

აღსანიშნავია, რომ გადაცემა სრული ქრონომეტრაჟის პირობებში ინტერაქტიურია.

,,პიკის საათის" საზოგადოებრივი ღირებულებებია: პროფესიონალიზმი; სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში შესაბამისი მედია პროდუქტის შექმნა; კულტურისა და განათლების პრიორიტეტულობის აქცენტირება; მრავალფეროვან გარემოში ინდივიდუალიზმის შენარჩუნება.

,,პიკის საათი" 1979 წლის 18 აგვისტოდან დღემდე უწყვეტად მაუწყებლობს. /გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად დროებით შეჩერდა 2010 წლის მარტსა და აპრილში.

მოგეხსენებათ, ,,პიკის საათი“ ყოველდღიურად გადის პირდაპირ ეთერში და მისი მომზადება არანორმირებულ სამუშაო გრაფიკს მოითხოვს. გადაცემის წამყვანები და პროდიუსერი უწყვეტ რეჟიმში ამზადებენ პროგრამას, რაც საკმაოდ მძიმე სპეციფიკაა. სასურველია შემოქმედებითი ჯგუფის რესურსის გადახედვა.

სამომავლო ხედვები:

1. უნდა გადაიხედოს ,,პიკის საათის“ სტაფის პრობლემა და ბიუჯეტი.

2. მაუწყებლის მულტიმედიური სისტემის პირობებში უნდა მოხდეს გადაცემის ზოგადი ანონსირება ტელე, რადიო, თუ ინტერნეტ სივრცეში. უნდა დამზადდეს ტელე და რადიო პრომო რგოლები.

3. სასურველია დამზადდეს სტუდიის დეკორაცია /მინიმალისტური/, რაც დილის ეთერის ესთეტიკას გაუსვამს ხაზს.

4. გადაცემის სრულყოფის მიზნით, გაცილებით დეტალური ანალიზისათვის, მზად ვარ კოლეგებთან შესახვედრად. სრულიად ვიზიარებ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპს - „გავხადოთ კარგი პროგრამები პოპულარული, ხოლო პოპულარული პროგრამები - უკეთესი“

# საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში „საზოგადოებრივი რადიო 1“-მა გააგრძელა პროგრამული პრიორიტეტების შესრულება და გააფართოვა მულტიმედიური პროექტი.

1. <u>მულტიმედიური მაუწყებლობა</u>

საზოგადოებრივმა რადიომ, მაუწყებლის ვებგვერდის სამსახურთან ერთად, დაასრულა ახალი ვებ-გვერდის ტესტურ რეჟიმში მუშაობა და საიტი ამჟამად გამართულად მუშაობს. ცვლილება მოხდა მაუწყებლის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

კვლავ წარმატებულია Youtube-ზე შექმნილი არხი.

2. <u>საიუბილეო ღონისძიებები</u>

საზოგადოებრივმა რადიომ მოკრძალებულად აღნიშნა 90 წლის იუბილე. რადიოს ანონსების ჯგუფმა შექმნა საიუბილეო რგოლები. ანალოგიურად ტელევიზიის პრომოუშემის სამსახურმა მოამზადა საიბულიეო ტელერგოლები. საიუბილეო წელს მიეძღვნა რადიოს გადაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია შემდეგი პროგრამები „პიკის საათი“, „ხაზის რადიო“ და „მუსიკის საათი“.

3. <u>პოგრამული ბადე</u>

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოირჩევა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბადე ყალიბდება ყველა იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომლებიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული.

3.1 <u>ინფორმაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება</u>

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის პროგრამული პრიორიტეტებში გათვალისწინებულია რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. ყველა ეს რეკომენდაცია რადიოს ფორმატის გათვალისწინებით შესრულებულია.

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემებს უკავია 14:00 - 21:00 საეთერო ზოლი. ამ ზოლში რადიო 1-ის ყველა გადაცემა ინტერაქტიულია. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების ენებზე 25 წუთიანი მაუწყებლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვა ნაწილობრივ აქვს დილის გადაცემას „პიკის საათი“.

საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

**საინფორმაციო გამოშვება** - პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5 წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია ვრცელი გამოშვება. საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციით. საინორმაციო სამსახურში დასაქმებულია 9 ჟუნრალისტი: პროდუსერი, რედაქტორი, 3 წამყვანი და 4 კორესპონდენტი;

**ღია სტუდია** – ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ - ყოველ სამუშაო დღეს 14.10-15.00 სთ. გადაცემის მიზანია აუდიტორიისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ანალიზის მიწოდება. მიმდინარე მოვლენების განხილვაში საზოგადოების ჩართვა. პროგრამის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ პოლიტიკურ, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით და მათი ანალიზით დაინტერესებული მოქალაქეები. პროგრამაზე დასაქმებულია 3 ჟურნალისტი: პროდუსერი, რედაქტორი და წამყვანი. პროდუსერი და რედაქტორი ასევე ჩართულნი არიან რადიოს სხვა პროექტებში;

**საღამოს პიკის საათი** - ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ – ყოველ სამუშაო დღეს 17.10-18.00 სთ. შემაჯამებელი პოლიტიკური თოქშოუ - აქტუალური თემების დეტალური ანალიზი, დღის მთავარი თემების განხილვა კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელთან ერთად. გადაცემის მიზანია აუდიტორიისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ანალიზის მიწოდება. მიმდინარე მოვლენების განხილვაში საზოგადოების ჩართვა. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ პოლიტიკურ, ეკონომიკური და სოციალური ახალი ამბებით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია 2 ჟურნალისტი - პროდუსერი და წამყვანი;

**სპორტული ესტაფეტა** – პროგრამა შედგება ორი ფორმატით განსხვავებული გადაცემისაგან: 50წთ-იანი ინტერაქტიული, საინფორმაციო-ანალიტიკური თოქ-შოუ რომელიც გადის ყოველდღე კვირის გარდა 19.10-იდან 20.00-მდე და 5წთ-იანი სპორტის ახალი ამბები რომელიც ეთერში გადის ყოველდღე კვირის გარდა 22:05, 08:05 და 09:05 სთ-ზე. გადაცემის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, ასევე სპორტისა და სპორტსმენების მხარდაჭერა. გადაცემის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებული მოქალაქეები. ორივე ფორმატის პროექტს მთლიანად ერთი ჟურნალისტი ახორციელებს;

**ერთად ევროპისკენ** – ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ, ყოველ ორშაბათს, 16:10–ზე. გადაცემის მიზანია: ევროატლანტიკური ინტეგრაციის პოპულარიზაცია, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საზოგადოებრივი მონიტორინგი და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. გადაცემა ძირითადად ეძღვნება ევროანტლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ძალისხმევას და მიმდინარე პროცესებს: უსაფრთხოებას, თავდაცვას, ევროკავშირსა და ნატოს, დემოკრატიულ რეფორმებს, ვალდებულებებს და სტანდარტებს, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს. საანგარიშო პერიოდში გადაცემაზე დასაქმებული იყო 3 ადამიანი: 2 წამყვანი და პროდუსერი;

**უფლება და თავისუფლება** – ინტერაქტიული 45-50 წთ-იანი თოქ-შოუ გადის ყოველ ხუთშაბათს 16:10სთ-ზე. გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებებს. გადაცემის მიზანია ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ადამიანის უფლებების სფეროში მიმდინარე მოვლენების საზოგადოებრივი მონიტორინგი; საკითხები მრავალფეროვანია სახელმწიფოს სტატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემაზე დასაქმებულია ერთი წამყვანი;

**ეკომეტრი** - ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ ეკოლოგიის საკითხებზე გადის ყოველ ოთხშაბათს 16.10--დან 17.00-სთ-მდე. გადაცემის მიზანია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების გათვიცნობიერება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი. სამიზნე აუდიტორიას პირველ რიგში წარმოადენენ გარემოსდაცვითი ინფორმაციით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებული წამყვანს, ასევე მიყავს კიდევ ერთი გადაცემა „ფერმერის საათის“. გადაცემის ავტორი პროგრამის პერიოდულობის გაზრდას გვთავაზობს;

**მიგრაციის მარშრუტები** - ინტერაქტიული თოქშოუ ეთერშე გადის სამშაბათს და ხუთშაბათს, 18.10-დან 19.00 სთ-მდე. გადაცემის მიზანია უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა, ტრეფიკინგის პობლემების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, ტრეფიკინგის პობლემების მონიტორინგი და უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეებისა და სათვისტომოების საქმიანობის საინფორმაციო მხარდაჭერა. გადაცემაზე მომუშავე წამყვანი და პროდუსერი სხვა პროექტებში არ მონაწილეობენ;

**განსხვავებული აზრი - სტუმარი სტუმართან** – სამშაბათს 16.10-17.00. გადაცემას აქვს განსხვავებული ფორმატი - წამყვანები მოწვეული სტუმრები რაც საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე განსხვავებული კუთხით საუბრის საშუალებას იძლევა. გადაცემაზე

მუშაობს რედაქტორი და პროდუსერი, რომლებიც სხვა რადიოპროექტებშიცა არიან ჩართულნი;

**თქვენი უფლებები** (იურიდიული კონსულტაცია) - ინტერაქტიული თოქშოუ ეთერშია სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-ზე. პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. გადაცემის მიზანია: სამართლებრივი განათლების გაზრდა, სამართლებრივი და სახელმწიფო სერვისების სიახლეების გაცნობა საზოგადოებისათვის, მოქალაქეთა იურიდიული კონსულტაცია და სამართლებრივი სახელმწიფოს პოპულარიზაცია. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სახელმწიფო სერვისებითა და იურიდიული საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი და პროდუსერი. ეს უკანასკნელი სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**შტრიხ-კოდი** (სამომხმარებლო კონსულტაცია )- ინტერაქტიული გადაცემა ეთერშია ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ-ზე. გადაცემა ეძღვნება მომხარებელთა უფლებებს. ექსპერტები, ხელისუფლების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანონმდებლობაზე. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მომხმარებელთა უფლებებითა და სამომხმარებლო კონსულტაციით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი და პროდუსერი. რომლებიც სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი;

**ფერმერის საათი** - ინტერაქტიული თოქ-შოუ, კვირა, 15.10-16.00. გადაცემის მიაზანია: ფერმერთა და მებაღეთა ინფორმირებულობის გაზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების პოპულარიზაცია, ფერმერთა და მებაღეთა ინფორმირებულობის გაზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების პოპულარიზაცია. პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს. სამიზნე ჯგუფს სოფლის მეურნეობით და მებაღეობით დაინტერესებული მოქალაქეები წარმოადგენენ. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი და პროდუსერი. რომლებიც სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი;

**ისევ განათლების საკითხებზე** - ინტერაქტიული გადაცემა, შაბათი, 15.10-16.00 სთ. გადაცემის მიზანია: საზოგადოების ინფორმირება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეების თაობაზე, აბიტურიენტთა და სტუდენტთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობა. თოქშოუ ეძვნება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებს, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს

სასწავლებლებში სწავლების წესებს, სამეცნიერო გრანტებს, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციო გამოცდებს, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებს, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სტიპენდიებს. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს. გადაცემის სამიზნე ჯგუფს პირველ რიგში წარმოადგენენ აბიტურიენტები, სტუდენტები, მოსწავლეები და მათი მშობლები, მეცნიერები და პედაგოგები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი, რომელიც სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**აკადემიური სივრცე** – ინტერაქტიული გადაცემა, ოთხშაბათი, 11.10-12.00 სთ. ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები. გადაცემის მიზანია საზოგადოების ინფორმირება ქართულ მეცნიარებაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე და მეცნიერებისა და მათი მიღწევების პოპულარიზაცია. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი, რომელიც სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**ამერიკის ხმა** – ყოველდღიური ტრანსლაცია ვაშინგტონიდან – მსოფლიო ამბები, სიუჟეტები საინტერესო თემებზე. ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15 წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე.

## 3.2 <u>საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულება</u>

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს ტრადიციულად წარმოადგენს. რადიო 1 -ს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს“, რაც ჩვენ პროდუქციას ასევე გამოარჩევს მედიაბაზარზე. პროგრამებზე მუშაობენ პროფესიონალები, რომლებიც მაუწყებლის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიო თეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელსაც აქვს მუდმივი გადაცემები სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ თეატრალური და მუსიკალური მიმოხილვა და კრიტიკა.

რადიო 1 გამოირჩევა მუსიკალური გადაცემების მრავალფეროვნებით და ხარისხით. მუსიკალური პროგრამები მოიცავს პრაქტიკულად მთელ სპექტრს - კლასიკას, ფოლკლორს, ძველ და თანამედროვე ქართულ ესტრადას, თანამედროვე და შედარებით უცნობ მუსიკას.

საზოგადოებრივი რადიო ასევე გამოირჩევა ლიტერატურული და საბავშვო პროგრამებით.

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულების გადაცემების ჩამონათვალი ასეთია:

**რადიოთეატრი** – საზოგადოებრივი რადიოს რადიოთეატრი წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში დღესაც იწერება რადიოდადგმები. რადიოს ეთერში ისმის როგორც ძველი ასევე ახალი რადიოსპექტაკლები. საზოგადოებრივი რადიოს ახალი დადგმები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში, იღებენ აღიარებას და პრიზებს. რადიოდრამა რადიო ერთის ეთერში ისმის როგორც მცირე ფორმატის (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 12:30-12:55) ასევე დიდი ფორმატი სახით (შაბათს 10:00-11:00, 18:00-19:00, 01:00-02:00, კვირა 01:00-02:00). რადიოდრამის მიმართულებაზე მუშაობს 4 თანამშრომელი: მთავარი რეჟისორი, ხმის რეჟისორი, რედაქტორი და ადმინისტრატორი. რადიოსპექტაკლების ჩაწერაში მონაწილეობენ მოწვეული რეჟისორები და მსახიობები;

**თეატრალური შეხვედრები** – ორშაბათი 18.10-19.00, ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან. პროექტის მიზანია ქართული თეატრის პოპულარიზაცია. გადაცემაზე მუშაობს წამყვანი და ჩამწერი ხმის რეჟისორი. პროექტი დაკავშირებულია სპექტაკლების გარე ჩაწერასთან. გადაცემაზე მუშაობენ ავტორი, ხმის რეჟისრორი და გარე ჩაწერების ტექნიკოსი/მძღოლი. იგივე თანამშრომლები დაკავებულნი არიან სხვა რადიოპროექტებშიც;

**კოლექცია** – კვირა 16:10-19:00. შეხვედრები საინტერესო მოღვაწეებთან, ვინც გატაცებული არიან ხელოვნების ნიმუშებისა და იშვიათი ნივთების შეგროვებით. კოლექციების მფლობელები თავად საუბრობენ მათ გატაცებასთან დაკავშირებულ ისტორიებსა და ცხოვრებისეულ ამბებზე. კოლექცია ხშირად მუზეუმებში დაცულ კოლექციებსაც ეძღვნება. პროექტზე მუშაობენ წამყვანი და ჩამწერი ხმის რეჟისორი. იგივე თანამშრომლები სხვა რადიოპროგრამებზეც მუშაობენ;

**თეატრალური ნოსტალგია** სამშაბათი 07:13-07:30; 22:26-22-40 (გამეორება - ხუთშაბათი 07:13-07:30; 20:26-20-40) სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს

ოქროს ფონდიდან). გადაცემაზე მუშაობს ავტორი და ჩამწერი ხმის რეჟისორი. პროექტზე დასაქმებული თანამშრომლები სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**თეატრალური ანტრაქტი** – შაბათი 08:05-08:25; 23:10-23:30. სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით. პროექტის მიზანია ქართული თეატრის პოპულარიზაცია, თეატრალური კრიტიკის ხელშეწყობა, თეატრის მოყვარულთა ინფორმირება თეატრალური პრემიერებისა და წარმოდგენების თაობაზე. პროექტი დაკავშირებულია სპექტაკლების გარე ჩაწერასთან. გადაცემაზე მუშაობენ ავტორი, ხმის რეჟისრორი და გარე ჩაწერების ტექნიკოსი/მძღოლი. იგივე თანამშრომლები დაკავებულნი არიან სხვა რადიოპროექტებშიც;

**რაც მეხსიერებას შემორჩა** – სამშბათი 12:10-12:25; 22:27-22:34. მუსიკალურ შემეცნებითი პროგრამა - რადიოს ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების მომზადების ისტორიები და თავად ჩანაწერები. პროექტის მიზანია ქართული მუსიკისა და ქართველი მუსიკოსების პოპულარიზაცია, ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების პოპულარიზაცია და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. პროექტზე მუშაობს მუსიკალური რედაქტორი და ხმის რეჟისორი. იგივე თანამშრომლები დაკავებულნი არიან სხვა რადიოპროგრამებშიც;

**კინოფილმი უეკრანოდ** – შაბათი 22:20-23:00. კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა - გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერების თანხლებით. გადაცემის მიზანია ქართული ფილმის პოპულარიზაცია. ადამიანური რესურსი: გადაცემის ავტორი და ჩამწერი ხმის რეჟისორი. იგივე პერსონალი სხვა რადიოპროექტებშიცაა დაკავებული;

**ხაზის რადიო** – ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 10.10-დან 10.55-მდე. გამეორებით ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 23.07-დან 24.00-მდე. ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა საერთო-ეროვნულ ღირებულებებისა, შეხვედრები ადამიანებთან, ვინც ღირებულებების შექმნაზე ზრუნავდნენ და ზრუნავენ. ექსკლუზიური ჩანაწერები რადიოს ოქროს ფონდიდან.

ორშაბათი – **ცხოვრება კადრს მიღმა** - თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება

სამშაბათი – **ქართული ეთნო** - ტრადიციები, ტრადიციებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე მოამაგე ადამიანები

ოთხშაბათი – საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საინტერესო ისტორიები და კოლორიტები

ხუთშაბათი – ქართული მუსიკის მოამაგენი, უცნობი დეტალები ცნობილი მუსიკოსების ცხოვრებიდან და მათი შემოქმედების უნიკალური ნიმუშები

პარასკევი – ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ადამიანები, ვინც ეპოქალურ ღირებულებებს ქმნიან

გადაცემას ჰყავს პროდუსერი რომელიც გადაცემას ყოველდღე უძღვება. ამავე დროს, ყოველ სამუშაო დღე გადანაწილებულია 5 თანაწამყვანზე, რომლებიც იმ დღის თემის ავტორებიც არიან. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საარქივო ჩანაწერებს, შესაბამისად მასზე ჩამწერი სტუდიების ხმის რეჟისორებიც მუშაობენ. პროექტში დაკავებული ყველა თანამშრომელი სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი.

**მუსიკის საათი ყოველდღე 13.10-14.00**

მუსიკალური გადაცემების საათი ეთერშია ყოველდღე. ის მოიცავს მუსიკის სხვადასხვა სფეროს. პროგრამის მიზანია კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქართული და მსოფლიო ფოლკლორის პოპულარიზაცია. გადაცემები დღეების მიხედვით ასე ნაწილდება:

ორშაბათი - **მუსიკალური შეხვედრები** ცნობილ შემსრულებლებთან, ცოცხალი შესრულება, ახალი ჩანაწერებისა და ალბომების პრეზენტაციები პირდაპირ ეთერში;

სამშაბათი – **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

ოთხშაბათი – **ჩაკრულო** – ქართული და უცხოური ფოლკლორი, ხალხური სიმღერის შექმნის ისტორიები, მომღერალთა პორტრეტები, ქორეოგრაფიის ისტორია, ხალხური პოეზიის, ხელსაქმისა და ტრადიციების ამსახველი მასალები;

ხუთშაბათი - **ვარიაციები მუსიკის თემაზე** – კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, გამორჩეული ინტერპრეტაციები, ცნობილი და ნიჭიერი ახალბედა ქართველი შემსრულებლები;

პარასკევი - **რეტრო**, 70-90 იანი წლების ქართული ესტრადა, მოგონებები და საინტერესო ისტორიები იმ პერიოდის ცნობილ შემსრულებლებზე,

ქართული ესტრადის განვითარების ისტორია და რეტრო-მუსიკის საუკეთესო ჩანაწერები პირდაპირ ეთერში;

შაბათი - **რადიოანშლაგი**, მუსიკალური ცხოვრების სიახლენი, საკონცერტო დარბაზებში გამართული საღამოების ჩანაწერები;

კვირა - **მხოლოდ ოპერა** – საოპერო მუსიკის სიახლენი, ქართველ შემსრულებელთა, კომპოზიტორთა და ახალბედა ნიჭიერ მუსიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტები, ექსკლუზიური მუსიკალური ნომრები;

მუსიკალური საათის გადაცემებზე რამდენიმე წამყვანი მუსაობს. გადაცემებს „ვარიაციები მუსიკის თემაზე", „მხოლოდ ოპერა" და „რადიოანშლაგი უძღვება" მარიკა ჩიჯავაძე. ნია ბახტაძეს მიჰყავს პროგრამები „მუსიკალური შეხვედრები" და რეტრო. „ჩაკრულოს" ავტორია ლალი სეთურიძე ხოლო „კლასიკის საათს" უძღვება ნესტან კირთაძე. გადაცემები დაკავშირებულია გარე და სტუდიურ ჩაწერებთან, ასევე საარქივო მასალების დამუშავებასთან. ამიტომ მასში ავტორების გარდა ჩართულნი არიან სტუდიური ხმის რეჟისორები და გარე ჩაწერის მძღოლი/ტექნიკოსი. პროექტზე დაკავებული ყველა თანამშრომელი, გარდა ნესტან კირთაძისა, სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი;

**პიკის საათი** - დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე. გადაცემის სამიზნე ჯგუფია საშუალო ასაკის დასაქმებული მოქალაქეები და სტუდენტები. გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან. პროგრამაზე დასაქმებულია 5 თანამშრომელი: პროდუსერი, 2 წამყვანი და 2 კორესპონდენტი. პროდუსერი ასევე არის ხაზის რადიოს პროდუსერი/თანაწამყვანი. დანარჩენი თანამშრომლები მხოლოდ პიკის საათზე მუშაობენ;

**ცხოვრება ხელოვნებაში** - კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა ეთერშია სამშაბათს 24.00-01.00. პროგრამა ეძღვნება ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი გზას და ცხოვრებისეული ისტორიებს. გადაცემის მიზანია ცნობილ ხელოვანთა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია. პროექტზე დასაქმებულია გადაცემის ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი, რომლებიც რადიოს სხვა პროექტებშიც არიან ჩართულნი;

**თავისუფალი ლიტერატურა** – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ყველა სიახლე - პარასკევს 18.10-19.00. პროექტის მიზანია ქართული და მსოფლიო ლიტერატურის, ასევე ქართველი მწერლების პოპულარიზაცია, აუდიტორიისათვის

ქართული და მსოფლიო ლიტერატურის სიახლეების გაცნობა. სამიზნე აუდიტორიას პირველ რიგში ლიტერატურის მოყვარულები წარმოადგენენ. გადაცემას უძღვებიან მოწვეული მწერლები და კრიტიკოსები. გადაცემაზე ამზადებს პროდუსერი;

**ლია ძიძიგურის გალერეა** - კვირა 10:00-10:50. კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა - შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები. გადაცემის მიზანია ქართველი ხელოვანებისა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია. აუდიტორია - ფართო სპექტრი. გადაცემაზე დაკავებულნი არიან ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი, რომლებიც სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი;

**უცნობი მუსიკა** – კახა თოლორდავას ექსკლუზივი შაბათს 23.30-01.00, მსმენელთათვის ნაკლებად ცნობილი მუსიკოსები, მსოფლიო მუსიკის იშვიათი ნიმუშები. პროგრამის მიზანია მსმენელთა მუსიკალური თვალსაწიერის გაფართოება და მსოფლიო მუსიკის პოპულარიზაცია. გადაცემაზე დაკავებულია მხოლოდ მისი ავტორი;

**ჯაზ ამერიკა** - „ამერიკის ხმის" ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევისის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა" ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

**ჩვენი საგანძური** - „ღია სტუდიის" შაბათის გამოშვება.14.10-15.00 სთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი პროცესების ანალიზი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია. მისივ ავტორი სხვა რადიოპროქტებშიცაა ჩართული;

**ბახიდან ოფენბახამდე** – ეთერშია ორშაბათი 12.15-12.30, 22:30-22:45 (გამეორებით ოთხშაბათი 12.15-12.30, 22:30-22:45 და პარასკევი 12.15-12.30 22:30-22:45). მუსიკალურ-შემეცნებითი პროგრამა - ერთი მუსიკალური შედევრი შემეცნებითი ანოტაციის თანხლებით. პროგრამის მიზანია კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. გადაცემაზე დასაქმებულია ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი. იგივე თანამშრომლები სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**ქართული მუსიკის ასი წელი** – ხუთშაბათი 12.15-12.30; 22:30-22:45. მუსიკალურ-შემეცნებითი პროგრამა - ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა იშვიათი ჩანაწერებით. პროგრამის მიზანია ქართული მუსიკისა და ქართველი მუსიკოსების პოპულარიზაცია, ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების პოპულარიზაცია და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. გადაცემაზე დასაქმებულია ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი. იგივე თანამშრომლები სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**ინტერმედია** – მუსიკალურ-შემეცნებითი პროგრამა - მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების სიახლეები. ეთერშია ორშაბათს 10:05-10:10 და 14:05-14:10 (გამეორება), ოთხშაბათს 10:05-10:10 და 14:05-14:10 (გამეორება), პარასკევს 10:05-10:10 და 14:05-14:10 (გამეორება). პროგრამის მიზანია კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. გადაცემა პირველ რიგში ორიენტირებულია მუსიკის მოყვარულებს და მუსიკოსებზე. გადაცემაზე დაკავებული ავტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი, სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**მოუსმინე ისტორიას რადიო1-ზე** - მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. გადაცემათა მიზანია საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ასევე მუზეუმების პოპულარიზაცია. ავტორი ლილი ჭანიშვილი. გადაიცემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე:

**აქცენტები ისტორიაში** – უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები საქართველოს ისტორიიდან. ეთერშია ორშაბათს (07:06-07:10; 16:52-16:56; 20:36-20:40) და შაბათს (გამეორება -07:06-07:10; 16:52-16:56; 20:36-20:40)

**ისტორია ექსპონატებში** – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია. ეთერშია სამშაბათს (07:10-07:15 , 11:40-11:45, 20:23-20:28; 21:26-21:31);

**ხელნაწერი** – საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ-მხატვრული ღირებულებები. გადაცემა ეთერშია ოთხშაბათს (07:16-07:10; 15:22-15:27; 20:42-20:47; 21:47-21:53) და კვირას (გამეორება - 07:16-07:10; 15:22-15:27; 20:42-20:47; 21:47-21:53);

**ფერთამეტყველება** – ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სიწმინდეების ისტორია. ეთერშია სამშაბათს (07:05-07:10 , 11:10-11:15, 19:10-19:15) და პარასკევს (გამეორებით 07:05-07:10 , 11:10-11:15, 19:10-19:15);

**ვეფხისტყაოსნის ეპოქა** – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ეთერშია ორშაბათს. ოთხშაბათსა კვირას დილის, შუადღისა და საღამოს ეთერში. მისი ქრონომეტრაჟია 7 წთ. პროგრამის მიზანია საქართველოს კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობის, პირველ რიგში ვეფხისტყაოსნის, პოპულარიზაცია. პროგრამაზე დაკავებული რედაქტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**სიტყვა ქართული** – მცირე ფორმატიანი პოგრამის მიზანია ქართული ენის ნორმების დამკვიდრება. პროგრამა ეთერშია ყოველდღე (07:10-07:25; 17:53-18:08; 21:27-21:42). პროგრამაში შეგილიათ მოისმინოთ ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა. პროგრამაზე დაკავებული რედაქტორი და სტუდიური ხმის რეჟისორი სხვა რადიოპროექტებზეც მუშაობენ;

**აკადემიური სივრცე** – ინტერაქტიული თოქ-შოუ ეთერშია ოთხშაბათს 11.10-12.00 და კვირას 17:10-18:00. პროგრამის მიზანია მეცნიერებისა და მათი მიღწევების პოპულარიზაცია, საზოგადოების ინფორმირება ქართულ მეცნიარებაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. გადაცემის თემატიკაა ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები. გადაცემის ავტორი ასევე მუშაობს სხვა რადიოპროექტებზე;

**საუკუნის ხმები** – უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად. მისი მზიანია საზოგადოებრივი რადიოს „ოქროს ფონდის" პოპულარიზაცია, უნიკალური ჩანაწერების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, საქართველოს კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. სამიზნე ჯგუფს აუდიტორიის ფართო სპექტრი წარმოადგენს. გადაცემის ავტორი ასევე მუშაობს სხვა რადიოპროექტებზე;

**ინგლისურის გაკვეთილი** – ბრიტანეთის საბჭოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გაკვეთილები ლექსიკისა და სასაუბრო ჩვევის გასაუმჯობესებლად. პროგრამის განმარტებითი ნაწილის ჩაწერა ხდება რადიოს ჩამწერ სტუდიაში. პროგრამის ამ სეგმენტში ბრიტანეთის საბჭოს ქართველი სპეციალისტი აუდიტორიისათვის დამატებით განმარტებებს იძლევა;

**თქვენი უფლებები** (იურიდიული კონსულტაცია) - ინტერაქტიული თოქშოუ ეთერშია სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-ზე. პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. გადაცემის მიზანია: სამართლებრივი განათლების გაზრდა, სამართლებრივი და სახელმწიფო სერვისების სიახლეების გაცნობა საზოგადოებისათვის, მოქალაქეთა იურიდიული კონსულტაცია და სამართლებრივი სახელმწიფოს პოპულარიზაცია. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სახელმწიფო სერვისებითა და იურიდიული საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი და პროდუსერი. ეს უკანასკნელი სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**შტრიხ-კოდი** - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ. ექსპერტები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე. ინტერაქტიული გადაცემის მიზანია სამომხმარებლო და სამართლებრვივი განათლების გაზრდა, სახელმწიფო სერვისების სიახლეების გაცნობა საზოგადოებისათვის და მოქალაქეთა სამომხმარებლო კონსულტაცია. გადაცემა ორიენტირებულია სამომხმარებლო კონსულტაციით დაინტერესებულ მოქალაქეებზე. გადაცემის წამყვანი და პროდუსერი ასევე მუშაობენ სხვა რადიოპროექტებზე;

**ისევ განათლების საკითხებზე** - ინტერაქტიული გადაცემა, შაბათი, 15.10-16.00 სთ. გადაცემის მიზანია: საზოგადოების ინფორმირება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეების თაობაზე, აბიტურიენტთა და სტუდენტთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობა. თოქშოუ ეძღვნება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებს, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებს, სამეცნიერო გრანტებს, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციო გამოცდებს, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებს, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სტიპენდიებს. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს. გადაცემის სამიზნე ჯგუფს პირველ რიგში წარმოადგენენ აბიტურიენტები, სტუდენტები, მოსწავლეები და მათი მშობლები, მეცნიერები და პედაგოგები. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი, რომელიც სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**ოჯახის ექიმი**– ორშაბათს და პარასკევს 15.10-16.00 სთ-მდე, სამედიციო გადაცემა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრები წესის პოპულარიზაციას და ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდას. გადაცემას ასევე აქვს საკონსუტლაციო ფუნქციაც. გადაცემას უძღვება პროფესიონალი ექიმი. გადაცემა სარგებლობს დიდი პოპულარობით. სამიზნე ჯგუფს საშუალო და უფროსი ასაკის მსმენელი წარმოადგენს. გადაცემ პროდუსერი სხვა რადიოპროექტებშიცაა ჩართული;

**მშობელთა სკოლა** – ყოველკვირეული ინტერაქტიული საკონსულტაციო გადაცემა ეთერში გადის ყოველ ოთხშაბათს (15.10-16.00). მისი მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და
ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდა. პროგრამაში შეგიძლიათ მოისმინოთ პედიატრისა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა რჩევები ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე. გადაცემის სამიზნე ჯგუფია მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები;

**მედიატორი** – ინტერაქტიული ყოველკვირეული საკონსუტლაციო გადაცემა ეთერშია ყოველ პარასკევს (16:10-17:00). გადაცემის სამიზნე ჯგუფია მშობლები და პედაგოგები. პროგრამაში საუბარია ბავშვთან ურთიერთობის პრობლემებზე. ფსიქოლოგები რჩევებს იძლევიან რთულ მოზარდთა ქცევისა და ხასიათის უკეთ გაგებისათვის. გადაცემას მხოლოდ ერთი ავტორი ამზადებს და ეს უკანასკნელი სხვა რადიოპროექტებში არ მონაწილეობს;

**ფერმერის საათი** - ინტერაქტიული თოქ-შოუ, კვირა, 15.10-16.00. გადაცემის მიაზანია: ფერმერთა და მებაღეთა ინფორმირებულობის გაზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების პოპულარიზაცია, ფერმერთა და მებაღეთა ინფორმირებულობის გაზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების პოპულარიზაცია. პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს. სამიზნე ჯგუფს სოფლის მეურნეობით და მებაღეობით დაინტერესებული მოქალაქეები წარმოადგენენ. გადაცემაზე დასაქმებულია წამყვანი და პროდუსერი. რომლებიც სხვა რადიოპროექტებშიც არიან ჩართულნი;

**ეკომეტრი** - ინტერაქტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ ეკოლოგიის საკითხებზე გადის ყოველ ოთხშაბათს 16.10--დან 17.00-სთ-მდე. გადაცემის მიზანია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების გათვიცნობიერება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი. სამიზნე აუდიტორიას პირველ რიგში წარმოადენენ გარემოსდაცვითი ინფორმაციით დაინტერესებული მოქალაქეები. გადაცემაზე დასაქმებული წამყვანს, ასევე მიყავს კიდევ ერთი გადაცემა „ფერმერის საათის“. გადაცემის ავტორი პროგრამის პერიოდულობის გაზრდას გვთავაზობს;

**შაბათ-კვირა 102.4-ზე** – შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. ის განკუთვნილია აუდიტორიის ფართო სპექტრისათვის. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა. გადაცემას ამზადებს და უძღვება ერთი ადამიანი;

### 3.3 <u>გართობისა და სპორტის მიმართულება</u>

ყველა გასართობ პროგრამას აქვა საგანამანთლებლოო და საინფორმაციო მიზნები. რადიო 1-ის ეთერში ყვოელდღიურად გადის სპორტული თოქშოუ. რაც შეეხება სპორტულ ტრანსლაციებს გადაიცემა მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ძირითადად ფეხბურთში, რაგბსა და კალათბურთში საქართველოს ნაკრებების გადამწყვეტი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მატჩები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის ბრაზილიის მსოლფიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია,

რომელიც საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხით ხორციელდებოდა. ტრანლსაციები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. სპორტული ტრანსლაციები მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ღამით გადაიცემა კლასიკური მუსიკა.

საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს როგორც ქართული ასევე უცხოური მუსიკალური და კულტურულ ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას ან აუდიჩანაწერების ეთერში გაშვებას. უცხოურ მასალებს ვიღებთ EBU-საგან, რაც დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

**პიკის საათი** - დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე. გადაცემის სამიზნე ჯგუფია საშუალო ასაკის დასაქმებული მოქალაქეები და სტუდენტები. გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან. პროგრამაზე დასაქმებულია 5 თანამშრომელი: პროდუსერი, 2 წამყვანი და 2 კორესპონდენტი. პროდუსერი ასევე არის ხაზის რადიოს პროდუსერი/თანაწამყვანი. დანარჩენი თანამშრომლები მხოლოდ პიკის საათზე მუშაობენ;

**შაბათ-კვირა 102.4-ზე** – შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. ის განკუთვნილია აუდიტორიის ფართო სპექტრისათვის. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა. გადაცემას ამზადებს და უძღვება ერთი ადამიანი;

**ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა** – პროგრამა შედგება ორი ფორმატით განსხვავებული გადაცემისაგან: 50წთ-იანი ინტერაქტიული, საინფორმაციო-ანალიტიკური თოქ-შოუ რომელიც გადის ყოველდღე კვირის გარდა 19.10-იდან 20.00-მდე და 5წთ-იანი სპორტის ახალი ამბები რომელიც ეთერში გადის ყოველდღე კვირის გარდა 22:05, 08:05 და 09:05 სთ-ზე. გადაცემის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, ასევე სპორტისა და სპორტსმენების მხარდაჭერა. გადაცემის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებული მოქალაქეები. ორივე ფორმატის პროექტს მთლიანად ერთი ჟურნალისტი ახორციელებს;

### 3.4 საქართველოს ენებზე მაუწყებლობა

საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვაწვდის საზოგადოებრივი მაუწყებლის

ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

4. **ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა**

კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა „საზოგადოებრივი რადიოს" მიერ მოზიდული გარე დაფინანსების მოცულობა მნიშვნელოვნად შეზღუდა. მიუხედავად ამისა „საზოგადოებრივი რადიო" ახალი კანონმდებლობის პირობებშიც ცდილობს პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროექტებისათვის დაფინანსების გარე წყაროების მოძიებას.

გრძელდება ხელშეკრულება **ამერიკის ხმა**სთან. ყოველდღიური 15წთ-იანი 2 გომოშვება და 30წთ-იანი გადაცემა. ყოველთვიური ანაზღაურება 1500 დოლარი.

## საინფორმაციო სამსახური - პროგრამა „მოამბე“

**საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია ის პოლიტიკა, რომელსაც პირველი არხის საინფორმაციო სამსახური ატარებს. „მოამბისთვის“ პრიორიტეტული ამოცანაა საზოგადოების ყველა ფენის ინტერესის დაკმაყოფილება. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მთავარი პრიორიტეტია სოციალური სფერო და ის საკითხები, რომელიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს და აინტერესებს. „მოამბის“ ფუნქციაა ოპერატიული, დაბალანსებული, გადამოწმებული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ტირაჟირება.**

,,მოამბეში“ ვრცლად გაშუქდა თბილისში ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე მემორანდუმი და ახალი შეთანხმებები გააფორმა.

ლარის კურსის დაცემა კვლავ აქტუალური თემა იყო. ლარი ბოლო 16 წლის ისტორიულ მინიმუზე იყო ჩამოსული. ერთი დოლარი ოფიციალური კურსით დღეს ორი ლარი და 28 თეთრზე ოდნავ მეტი „მოამბემ“ აჩვენა ეროვნული ვალუტის ვარდნის დინამიკა და მაყურებელს ექსპერტთა მოსაზრებები შესთავაზა.

ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში. პოსტიდან გადადგა გარემოს დაცვის მინისტრი.

განცხადება გადადგომაზე გააკეთა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა. მინისტრთა კაბინეტი პარლამენტისგან ნდობის ხელახლა გამოცხადების საკითხი აქტუალური თემა იყო აპრილის თვის საინფორმაციო გამოშვებებში.

მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. კაბინეტის ახალი წევრების დანიშვნას „მოამბემ“ მთავარ გამოშვებებში დიდი ადგილი დაუთმო.

საპროტესტო ნოტა, დემარში თუ ელჩის გამოწვევა - ოფიციალური თბილისი ახლა რეაგირების იმ ფორმაზე მსჯელობდა, რომელიც მთიან ყარაბაღში გამართულ შეხვედრას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტის ე.წ. თავმჯდომარეს სომხეთის ეროვნული კრების ხელმძღანელი შეხვდა. ოსური მედიით გავრცელებულ ინფორმაციას სომხეთის საკანონმდებლო ორგანოს პრეს-სამსახურიც ადასტურებდა, თუმცა ერევანში ამბობდნენ, რომ აუდიენციას ოფიციალური სახე არ ჰქონია და ის შემთხვევით შედგა. ახსნა-განმარტებებისთვის საგარეო უწყებაში დაიბარეს სომხეთის ელჩი.

„მოამბემ“ ექსკლუზიურად გადაღებული ვიდეოკადრები გაავრცელა საოკუპაციო ზოლიდან. რუსი სამხედროები მავთულხლართების გავლების პარალელურად დაზარალებული მოსახლეობის ძარცვასაც განაგრძობდნენ. ,,მოამბემ" საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ოკუპირებულ სოფელ დისევში დააფიქსირა. გადაღებულ მასალაში ჩანს, როგორ ანგრევენ და ძარცვავენ სამხედროები 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ და მიტოვებულ სახლებს. ოკუპანტების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და მუქარასა დისევის ერთდერთი მკვიდრიც საუბრობს, რომელიც ჟურნალისტმა მავთულხლართებს მიღმა ჩაწერა.

17 ივნისიდან საქართველოში ციფრული მაუწყებლობა დაიწყო. რეფორმა, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა, ყველა ოჯახზე გავრცელდება. თუმცა სპეციალური მოწყობილობის შეძენა მხოლოდ იმ ოჯახებს მოუწევთ, რომლებიც ჩვეულებრივი ანტენით სარგებლობენ. მეტი ინფორმირებულობისთვის ქვეყნის მასშტაბით სპეციალური კამპანია მიმდინარეობდა. მაუწყებლობის ახალი სტანდარტის შესახებ „მოამბემ“ რამდენიმე რეპორტაჟი მოამზადა.

თბილისში იბიარდის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა, რომელსაც საქართველო პირველად უმასპინძლა. თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი იმყოფებოდა. ბიზნეს-ფორუმის მუშაობა „მოამბის“ ყველა გამოშვების მთავარი თემა იყო.

48-წლიანი პაუზის შემდეგ ვენა ევროვიზიის კონკურსს უმასპინძლა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა პირდაპირ ეთერში გადასცა. მოამბემ ევროვიზიის მიმდინარეობა ვენიდან გააშუქა.

ივნისის თვის მთავარი მოვლენა, რომელმაც მთლიანად შეცვალა საინფორმაციო სამსახურის მუშაობის ფორმატი 13 ივნისს განვითრებული მოვლნები იყო. სტიქიის შედეგების გაშუქება უწყვეტი პირდაპირი ეთერის რეჟიმში „მოამბემ“ იმ წუთიდანვე დაიწყო, როცა თანამშრომლებს ტელევიზიის შენობაში შესვლის შესაძლებლობა მიეცათ, რადგან საზმაუწყებლის სენობა სტიქიის ზონაში მდებარეობს. „მოამბის“ კორესპონდენტები ერთ-ერთი პირველები გავიდნენ შემთხვევის ადგილზე და გადაიღეს შექმნილი ვითარება. 12 გარდაცვლილი, 37 დაშავებული და 24 უგზოუკლოდ დაკარგული -ასეთი იყო ოფიციალური მონაცემები პირველი ეტაპისთვის. თბილისის მერიის, მთავრობის და მოხალისეების საქმიანობა საინფორმაციო სამსახურის ყველა გამოშვებაში შუქდებოდა. რეპორტაჟები მზადდებოდა თბილისის ზოოპარკის შესახებ, რომელიც თითქმის სრულად იყო განადგურებული. სტიკიის ზონის კრიტიკულ რაიონებში მოამბის გადამღები ჯგუფები თითქმის 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ.

დამაგრეველი სტიქიიდან მეოთხე დღეს თბილისში ისევ მსხვერპლი იყო ქალაქში. 50-წლამდე მამაკაცი ზოოპარკიდან გაქცეულმა ვეფხვმა  დაგლიჯა.  ტრაგედია აბრეშუმის ყოფილი ქარხნის სარდაფში იმ დროს მოხდა, როდესაც ოთხი მუშა მითითებულ ადგილზე დასუფთავების მიზნით შევიდა. შემზარავი ფაქტიდან რამდენიმე წუთში გმირთა მოედნის მთელი პერიმეტრი გადაიკეტა და მტაცებლის დევნის ორსაათიანი ოპერაცია თეთრი ვეფხვის ლიკვიდირებით დასრულდა. „მოამბემ“ შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ჩართვები განახორციელა.

მთელი თვის განმავლობაში „მოამბის“ ეთერი ეთმობოდა აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას და დაზარელებული მოსახლეობისათვის საბინაო და სხვა ყოფითი საკითხების მოგვარების საკითხების გაშუქებას.

**ექსკლუზივები (კორესპოდენტი  - ქეთევან ქარდავა)**

20 მაისი   ექსკლუზიური ინტერვიუ ლატვიის ყოფილ პრეზიდენტთან, ვაირე ვიკე ფრაიბერგა. აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტის პერსპექტივები.

17 - 22 მაისი- რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი;

30 მაისი- ექსკლუზიური ინტერვიუ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიოო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან, ფრენსის გარისთან;

9 მაისი- ექსკლუზიური ინტერვიუ - მოლდოვის პრემიერ- მინისტრთან;

12 მაისი- ექსკლუზიური ინტერვიუ- ლიტვის საგარეო საქმეტა მინისტრთან;

9 მაისი- ექსკლუზიური ინტერვიუ- მოლდოვას პრემიერ- მინისტრთან;

6 მაისი- ნატოს თავდაცვის მინისტერიალი;

21-22 ივნისი- ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, დონალდ ტუსკის ვიზიტი;

24 ივნისი- ექსკლუზიური მასალა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ევროკავშირის მონიტორინგის მისია საზღვრისპირა სოფლებში , ახალი ბანერები;

27 ივნისი - საფრანგეთში ტერორისტული აქტი, ექსკლუზიური მასალა შემთხვევის ადგილიდან, ქალაქი სენტ კვენტინ - ფალავიერი;

რეგიონნები:

1. **კახეთში**

2. **შიდა ქართლში**

3. **ქვემო ქართლში**

4. **სამცხე-ჯავახეთში**

5. **სამეგრელო-ზემო სვანეთშის**

6. **იმერეთსა და რაჩა ლეჩხუმშის**

7. **აჭარაში**

8. **ფოთსა და გურიაში**

მათ მიერ გაწეული სამუშაო:

2015 წელს ისევე როგორც გასულ წლებში მოამბე აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე პროცესებს. რეგიონებში მყოფი გადამღები ჯგუფები 24 საათიან რეჟიმში მუშაოდნენ რათა პირველბს მოეწოდებინათ მიმდინარე მოვლებების შესახებ ინფორმაცია.

ოკუპირებული რეგიონები ყოველთვის არის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა, რომელსაც მოამბე აშუქებს. მომზადდა არაერთი სიუჟეტი იმ ადამიანებზე ვინც ე.წ საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები და სადერმარჯკაციო ხაზი არაერთ პრობლემას უქმნის. აქციების მრავალრიცხოვანი ტალღა რეგიონებში, ხმაური ავტობანის მშნებლობის გარშემო და კომპესაციით უკმაყოფილო მოსახლობა. არაერთი აქცია გაიმართა ასევე : გზის , სასმელი და სარწყავი წყლის მოთხოვნით , საინტერესო რეპორტაჟები მაღალმთიანი სოფლებიდან უგზოობა და განათლების პრობლემები. ამ ხნის მანძილზე რეგიოენებში აქტიურად გაშუქდა სოციალური პრობლემები, რასაც არაერთ შემთხვევაში გამოხმაურება მოჰყვა და პრობლემა მოგვარდა. აქტიური თემა იყო სტიქიით დაზარალებული რეგიონები და მიყენებული ზარალი.

საინფორმაციო სამსახურის გუნდი, ასევე აქტიურად აშუქებს რეგიონებში რელიგიურ საკითხებს. მორწმუნეების. 2015 წელს აქტიურად შუქდებოდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების მდგომარეობა.

1 აპრილიდან - 30 ივნისი: ეთერში გავიდა -214 სიუჟეტი, 1205 ლაივ-სინქრონი, 19 ტელე-ჩართვა.

აჭარა

**„მოამბის“ გადამღებმა ჯგუფმა ექსკლუზიურად მოამზადა რეპორტაჟი**-საქართველოს კათოლიკური ეკლესია ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში დაზიანებული ფრესკების დაუყოვნებლივ აღდგენის მოთხოვნაზე.

**მხოლოდ „მოამბის“** ის გუნდი დაინტერესდა იმ პერიოდში გონიოში მიწების დარეგისტრირების პრობლემით. რატომ გადასცეს მიწა საკუთრებაში და რატომ ჩამოართვეს უკანვე წინა ხელისუფლების დროს.

ცხინვალში დაღუპულ ხულოელ ზაზა იაკობაძის ოჯახს მოუხსნეს ყოველთვიური დახმარება. რა გახდა ამის მიზეზი, ამის შესახებ მოამბესთან დაღუპული ჯარისკაცის მშობლები „მოამბის“ მიკროფონთან საუბრობენ, რასაც საკუთარი არგუმენტებით პასუხობენ ვეტერანთა სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროში. **რეზონანსული თემა იყო რაც პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზიც გახდა.**

**პირველად მოამბეში გაჟღერდა, რომ ალისა და ნინოს სკულპტურა ბათუმში ადგილმდებარეობას შეიცვლიდა.** სიუჟეტში მოთხრობილია რა გახდა ამის მიზეზი და რა რეაქცია მოჰყვა გადაწყვეტილებას საზოგადოებისა და პოლიტიკოსების მხრიდან

**ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე თვით ადრე პროგრამა „მოამბემ“ მოამზადა რეპორტაჟი** ბათუმის ახალ რკინიგზის სადგურზე.

**მოამბე ინტენსიურად აშუქება აჭარის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესებს.** სიუჟეტში აღწერილია დაპირისპირების მორიგი ტალღა და პოლიტიკოსების არგუმენტები რეგიონის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან ვიცე-სპიკერის პოსტთან დაკავშირებით.

**მოამბე ასევე პირველია**, რომელმაც საქართველოში პირველად ბათუმში დანერგილ სიახლეებს მიუძღვნა სიუჟეტი.

**მოამბე გამოეხმაურა ხულოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე 2 ადამიანის დაღუპვის ფაქტს.** დეტალები იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ტრაგედია და რამდენად არიოს დაცული უსაფრთხოების ზომები

სიუჟეტი ღუდუშაურის კლინიკაში გარდაცვლილი პატიმრის შესახებ, რომლის ოჯახის წევრებმა **ექსკლუზიურად მოამბესთან გამოთქვეს პრეტენზიები ციხის ადმინისტრაციისა და ექიმების გულგრილობის გამო.** შემთხვევას გამოეხმაურა სახალხო დამცველიც

**მოამბის ექსკლუზივი თურქეთიდან.** ქალაქ რიზესთან ახლოს მოამბემ ლაზური დასახლება გადაიღო, სადაც უძველესი ქვევრები აღმოჩნდა. სიუჟეტში საუბარია ასევე, როგორ ცდილობენ თრქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები მეღვინეობისა და ქართული ტრადიციების აღგენას.

**„მოამბე" გამოეხმაურა ასევე მაღალმთიან აჭარაში ჯანდაცვის პრობლემებს.** კლინიკების ნაწილმა უარი თქვა საყოველთაო დაზღვევასთან თანამშრომლობაზე, სწორედ ამ ფაქტს უკავშირებდნენ ადგილობრივები 25 წლის ბიჭის გარდაცვალებას, რომელიც შელაპარაკების ნიადაგზე დაჭრეს, თუმცა საავადმყოფომ დახმარება დროულად არ აღმოუჩინა. სიუჟეტში საუბარია ზოგად პრობლემაზე, რასაც მოჰყვა რეაგირება ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან;

**სიუჟეტი ისევ აჭარის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოვლენებზე.** საკანონმდებლო კრისისზე, რაც მმართველი გუნდიდან დეპუტატთა წასვლამ განაპირობა. დაპირისპირებების გამო სხდომები ვერ ტარდება. არ იკრიბება ქვორუმი, რაც რეგიონში პოლიტიკურ სიტუაციას ძაბავს.

**მოამბემ ერთერთმა პირველმა გააშუქა ტრაგედია ქობულეთში, სასტუმროში გაჩენილმა ხანძარმა სამი მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა.** ტრაგედიის ადგილიდან პირდაპირი ჩართვების პარალელურად მომზადდა ვრცელი სიუჟეტი არსებული სიტუაციისა და ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების შესახებ . რაზეც მომავალშიც არაერთი სიუჟტი მომზადდა.

**მოამბემ არაერთი რეპორტაჟი მიუძღვნა არქეოლოგიურ აღმოჩენებს აჭარაში** - სიუჟეტი მომზადდა სოფელ კაპნისთავის აღმოჩენაზე, სადაც დიდი მცირე მარნები, ბიზანტიური და ქართული წარმოების უნიკალური ქვევრები აღმოჩნდა.

**მოამბე ასევე გამოეხმაურა ბათუმში უფუნქციოდ დარჩენილი ანბანის** კოშკის პრობლემას და ერთერთი პირველი იყო, სადაც მომზადდა სიუჟეტი ანბანის კოშკის განახლებასა და მისი დატვირთის გეგმებზე.

**„მოამბის" გუნდმა დეტალურად გამოიკვლია შემთხვევა სოფელ სალიბაურში, სადაც სკოლა-პანსიონში** მოსწავლეთა მოწამვლის შემთხვევა დაფიქსირდა. რა მდგომარეობაა პანსიონში, როგორია მოსწავლეთა კვების მდგომარეობა და რა გახდა შემთხვევის სავარაუდო მიზეზი.

**მოამბემ ასევე ექსკლუზიურად გააშუქა ბათუმში ახალი ბულვარის მიმდებარედ მცხოვრებთა პრობლემები**, რომლებისთვისაც ზღვასთან გასასვლელი გზა ინვესტორების მიზეზით უნდა გადაეკეტათ.

**ასევე ექსკლუზიურად „მოამბეში"** გაშუქდა ჩაშლილი ინვესტიციების პრობლემა. გაურკვეველიო დარჩა მახინჯაურში და მწვანე კონცხზე არსებული უნიკალუირი პანსიონატების ბედი, რომლებიც ინვესტორზე ჯერ კიდევ 2006 წელს გასხვისდა.

**ფოთი გურია**

მიმდინარე წლის აპრილში, ჟურნალისტმა თეა აბსარიძემ გააშუქა **ფოთში მდებარე ჰიდროკვანძის პრობლემა, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს.** მისი ამორტიზების გამო, ექსპერტები ეკოლოგიურ კატასტროფას პროგნოზირებენ. აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, ადგილობრივ ხელისუფლებაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე იზრუნებს.

**მაისის თვეში კორესპონდენტი თეა აბსარიძის მიერ გაშუქდა სიუჟეტი,** რომელიც გურიაში, სოფელ ლაითურში არსებულ პრობლემებს ასახავდა. ასევე გაშუქდა გურიის ერთ- ერთი სოფლის, მერიის პრობლემები. ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე არსებული ძველი საცხოვრებელი კორპუსი ამორტიზებულია, არ ფუნქციონირებს წყალგაყვანილობა და კანალიზაცია.

**მიმდინარე წლის ივნისში, მოამბეში გავიდა სიუჟეტი სოფლის** შესახებ, რომელიც, შესაძლოა, დაიცალოს. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაკადულში ადგილობრივებს ცხოვრება გაუსაძლის პირობებში უწევთ. ამბობენ, რომ მათი პრობლემებით აქამდე არავინ დაინტერესებულა. ჩვენს მიერ სოფ. ნაკადულის პრობლემების გაშუქების შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სოფელზე ზრუნვა დაიწყო.

სამეგრელო ზემო სვანეთი

**„მოამბემ" ექსკლუზიურად გააშუქა** -ზაქარაიების დევნილი ოჯახის პრობლემა, თუ როგორ მძიმე პირობების უხდებოდათ ცხოვრება, რასაც რეაგირება მოჰყვა. დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ოჯახს კერძო სახლის შესაძენად თანხა გამოუყო, მანამდე კი ქირას უხდიდა.
**ზუდიდის გადამღებმა ჯგუფმა „მოამბესთვის" მოამზადა რამდენიმე სიუჟეტი** -საუკუნის პროექტის შესახებ რომელიც ანაკლიაში პორტის მშენებლობას ითვალისწინებს.

იმერეთი რაჭა ლეჩხუმი

**მოამბემ ერთ-ერთმა პირველმა გადაღო ქალაქ ჭიათურის პრობლემები. ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე მდგარი ქალაქი,** სადაც მანგანუმის მოპოვების პარალელურად ყოველდღიურად იზრდება ჰაერში სიცოცხლისთვის საშიში მინარევები. რა დაავადებების ზრდაზე საუბრობდა მოსახლეობა და რას ფიქრობენ საკანონმდებლო ორგანოში.

**„მოამბემ" მაყურებელს უამბო წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის გასაჭირი -** როგორ ცხოვრობენ ადგილობრივები სასმელი წყლის, ბუნებრივი აირის და გზის გარეშე. რას ითხოვს მოსახლეობა და რას პასუხობს მათ ხელისუფლება.

**რა საფრთხის წინაშე დგას ხარაგაულის რ-ნ ის სოფელ ზვარეს მოსახლეობა**. რკინიგზის გვირაბის მშენებლობის პარალელურად ჩინური კომპანია კლდეში გვირაბის სამუშაოების დროს გამოტანილ ქვა-ღორღს პირდაპირ მდინარის კალაპოტში ყრის. ადგილობრივები, უხვნალექიანობის შემთხვევაში, წყალდიდობის საფრთხეს ხედავენ და დახმარებას ითხოვენ.

სამცხე ჯავახეთი

ვალეში, სტალინის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვდა. მათი თქმით, დასახლებაში არსებული ყველა მრავალსართულიანი სახლი ავარიული იყო და მოალაქეებს უსახლკაროდ დარჩენა **ემუქრებოდათ. პრობლემით დაინტერესდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.** მას შემდეგ, რაც საკითხი გაშუქდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საქმეში გეოლოგები ჩართო. ამ დროისათვის, გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ბინების გასამაგრებლად უკვე გეოლოგების დასკვნას ელოდება.

ახალციხის მუნციპალიტეტის 3 სოფელს სვირს, ბოგასა და ტატანისს ერთი უბნის ექიმი და ექთანი ემსახურება. მოსახლეობა ჩიოდა, რომ ტრანსპორტის არ ქონის გამო, ექიმი დასახლებებში არ ადიოდა. **საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პრობლემა გააშუქა, რასაც შედეგი დაახლოებით 2 კვირაში მოჰყვა.** აღნიშნულ დასახლებებში მისასვლელად ექიმმა კვირაში 3 დღე განსაზღვრა.

ახალციხის გარეუბნებში მოსახლეობა ჩიოდა, რომ მათი დასახლებები მყარი ნარჩენებისგან და ნაგვისგან დაბინძურებული იყო ანტისანიტარიას ქმნიდა. **პრობლემა გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, რის შედეგადაც, ადგილობრვიმა ხელისუფლებამ სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ტერიტორიები დაასუფთავა.**

**შიდა ქართლი**

**აპრილის თვეში ექსკლუზიურად** შუქდებოდა შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლებში არსებული ვითარება. მომზადდა რეპორტაჟები სოფლებიდან :აძვი, ჯარიაშენი, კირბალი, სადაც საოკუპაციო ზოლში მცხოვრები მოსახლეობა სოფლის სასაფლაოებზე გასვლას ვერ ახერხებს და დაკავების საფრთხეზე საუბრობს. მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება მთავარი საკითხია ერგნეთის შეხვედრებზეც.

**შიდა ქართლის ჟურნალისტებმა მოამზადეს სპეციალური რეპორტაჟი სურამიდან.** სურამში მომხდარი ავარიის შედეგად ერთი მცირეწლოვანი გოგონა ადგილზე გარდაიცვალა ერთი კი უმძიმესი მდგომარეობით საავადმყოფოში მოათავსეს. საფრთხის ქვეშ ოსიაურის სკოლის 200-მდე მოსწავლე და ხაშურის რაიონის ოთხი დასახლების მცხოვრებლები არიან, რომლებსაც სკოლაში მისასვლელად ცენტრალური მაგისტრალის გადაკვეთა უხდებათ. მაგისტრალის ამ მონაკვეთზე სიჩქარის შემზღუდველი არანაირი მანიშნებელი არაა დამონტაჟებული. მოამბემ აპრილის თვეში თბილისი სენაკის ცენტრალური მაგისტრალის ოსიაურის მონაკვეთზე ავარიების პრევენციისთვის შესაბამისი მანიშნებლების დამონტაჟების აუცილებლობაზე რამდენიმე რეპორტაჟი მოამზადა. ერთ თვეში გზის ამ მონაკვეთზე მოეწყო სპეციალური გადასასვლელი, დამონტაჟდა კამერები და სიჩქარის შემზღუდველი მანიშნებლები.

**მოამბის მთავარ გამოშვებაში მომზადდა რეპორტაჟი** ახალსოფლის დევნილთა ჩასახლებაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. კოტეჯების დიდი ნაწილში იატაკი მთლიანად დაზიანებულია და იქ ცხოვრება შეუძლებელია, რის გამოც ოჯახების დიდმა ნაწილმა კოტეჯები დატოვა.

**ივნისის თვეში გაშუქდა სტიქია გორის რაიონის სოფლებში. შიდა ქართლის ჯგუფმა გადაიღო ექსკლუზიური კადრები სტიიქიის ატენის რაიონის სოფლებში.**

ქვემო ქართლი

აპრილის ბოლოს პერმანენტული აქციები მიმდინარეობდა რუსთავი-თბილისის ავტობანზე. **საზოგადოებრივი მაუწყებლის ქვემო ქართლის ბიურო აქტიურად აშუქებდა ამ აქციებს.**

**ქვემო ქართლის ბიურო მაისის თვეში აქტიურად აშუქებდა საყდრისის საბადოს გარშემო მიმდინარე მოვლენებს.** ჩვენ გვქონდა პირდაპირი ჩართვები და პირველები ობიექტურად და დაბალანსებულად ვაწვდიდით მოსახლეობას იქ მიმდინარე მოვლენებს. ასევე გადავიღეთ უპრეცედენტო ფაქტი როცა მდგომარეობის უკეთ გასაცნობად ორი

მოსამართლე თავად ჩვიდა საყდრისში და საკუთარი თვალით ნახა შექმნილი მდგომარეობა.

ივნისის თვეში ქვემო ქართლის ბიურომ გადაიღო რეპორტაჟი მარნეულის რაიონში ვაგონში მხოვორები მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ. **გასული სიუჟეტის შემდეგ შემდეგაც ოჯახმა არააერთი დახმარება მიიღო.**

კახეთი

**მოამბის კორესპოდენტმა სპეციალური სიუჟეტი მომაზადა** ტერორისტული დაჯგუფების წარმოშობით პანკისელ ლიდერზე, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეძებს. 5 მილიონი დოლარი - ამ რაოდენობის თანხა წესდება ჯილდოდ იმ ინფორმაციის სანაცვლოდ, რომელსაც ოფიციალურ ვაშინგტონს თარხან ბათირაშვილის, იგივე ჟღალი გენერლის შესახებ მიაწვდიან. ჟურნალისტი პანკისი ხეობაში ჩავიდა და დაჯგუფების ლიდერის მამა ჩაწერა.

პანკისი, ახმეტა, ლაგოდეხი, - კახეთი ისევ სტიქიის ზონაა. გადაუღებელი წვიმისა და მდინარე ალაზნის ადიდების შედეგად, განადგურებულია მიწის ნაკვეთების ნაწილი, დახოცილია მსხვილფეხა პირუტყვი და დაზიანებულია ინფრასტრუქტურა;

**„მოამბის“ სტუმრის ბლოკი :**

მოამბის სტუმრის ბლოკი ყოველდღიურად ეხმაურება დღის მთავარ მიმდინარე მოვლენებს და სტუმრად იწვევს პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საზოგადოების წინაშე იმ კონკრეტულ ფაქტზე. სტუმრის ბლოკში ხელისუფლების პირველი პირების გარდა კონკრეტულ თემებზე სასაუბროდ „მოამბის“ სტუდიაში უმრავლესობის და ოპოზიციის ლიდერები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელიც მოწვეული იყვნენ „მოამბის“ სტუმრის ბლოკში.

**აპრილი - თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე - საჰაერო თავდაცვა**

**მაისი - აბაშიძე - ფორმატის გაფართოება**

**ივნისი** - 3 ივნისს გაეროში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია გავიდა. ვინ მისცა ხმა საქართველოს სასარგებლოდ და ვინ შეიკავა ტავი- ჩვენს შეკითხვებს ნიუ-იორკიდან გაეროში საქართველოს ელჩმა კახა იმნაძემ უპასუხა.

ბრიუსელიდან პირდაპირ ეთერში მოამბე ექსკლუზიურად ჩაერთო თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, რომელმაც ნეტოს გენერალურ მდივანთან, ამ რანგში მისი პირველი შეხვედრის დეტალები სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს მოუყვა.

ივნისში სტიქიის გამო მოამბის ყურადღების ცენტრში მთავარი თემა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების შედეგები იყო.

მოამბის შეკითხვებს სტიქიის ზონასი არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელმა მინდია ჯანელიძემ, გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა კაპანაძემ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და ქალაქის მერმა დავით ნარმანიამ უპასუხეს.

18 ივნისს - ექსკლუზიური ინტევიუ ბულგარეთის პრეზიდენტთან - თემაზე რა დახმარებას მიიღებს საქართველო ბულგარეთიდან.

კრიზისი იუსტიციის საბჭოში და უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჭდომარე - მოამბის პირდაპირ ეთერში სასამართლო სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და ახალ გამოწვევებზე ნინო გვენეტაძე და ლევან მურუსიძე გვყავდა მოწვეული.

ივლისის თვის მთავარი მოვლენა საბერძნეთის კრიზისი აღმოჩნდა. ფინანსურ კრიზისში მყოფი ქვეყანაში სერიოზული კრიზისი შეიქმნა, რომელმაც პრობლემები შეუქმნა ევროპული ქვეყნების ეკონომიკას და ევროკავშირის მომავალს. საბერძნეთსი მუშაობდა „მოამბის“ კორესპონდენტი გიორგი ფუტკარაძე, რომელიც პირდაპირ ეთერში ერთი კვირის განმავლობაში აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას მიმდინარე კრიზისის,პრემიერ ციპრასის მთავრობის ქმედებების და ქართველი ემიგრანტების პრობლემების შესახებ.

4 დაღუპული, მათ შორის ერთი 18 წლის: ტრაგედია აფაქიძის ქუჩაზე. გამოთვლითი მათემეტიკის ინსტიტუტის ყოფილი შენობის ნგრევით გამოძიება დაინტერესდა. „მოამბე“ შემთხვევის ადგილზე ერთ-ერთი პირველი მივიდა. იყო თუ არა მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ოთხსართულიანი შენობის დემონტაჟზე ნებართვა გაცემული და ჩატარდა თუ არა სამუშაოების დაწყებამდე გეოლოგიური და საინჟინრო კვლევა: რა განმარტებას აკეთებს დედაქალაქის მთავრობა და რა პრეტენზიები აქვთ ქუჩის მცხოვრებლებს - ეს საკითხები გაშუქდა „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში.

ივლისის თვის მთავარი მოვლენა იყო სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებული მოვლენები. ონლაინ-გაყიდვის ჩავარდნის გამო ფეხბურთის ფედერაცია სამართალდამცავ უწყებასთან და მერიასთან ერთად საგანგებო

რეჟიმში მუშაობდა. ბილეთები მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში გაიყიდა. „მოამბე“ გულშემატკივრის დიდი ინტერესის გათვალისწინებით ამ თემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.

საინფორმაციო სამსახურის ყურადრქების ცენტრში იყო კუს ტბაზე მომხდარ ინციდენტი. სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია პოლიციელების მხრიდან ბარის თანამშრომელზე ძალადობის ფაქტი არ დაადასტურა. უწყების ცნობით, კლუბ ,,ვიტამინის" მენეჯერი ნასვამ მდგომარეობაში იყო და მისთვის სამართალდამცავებს ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. „მოამბემ“ ამ ტემასთან დაკავშირებით ყველა ფაქტი გაასაჯაროვა.

ინციდენტით დასრულდა  დინამო-თბილისის და აზერბაიჯანული კლუბის მორიგი თამაში. სტადიონზე ქართული დროშა დაწვეს. ქართული კლუბის ხელმძღვანელობამ რეაგირებისთვის  უეფას თხოვნით მიმართა. „მოამბემ“  ექსკლუზიურად გადაღებული ვიდეო-მასალა აჩვენა სტადიონიდან და ოფიციალური თბილისის რეაქციები გაახამურა.

ხურვალეთთან და წითელუბანთან ქართული დროშა ჩამოხსნეს. კამერებმა შეიარაღებული ნიღბიანები დააფიქსირეს, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა მედიას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს და იმ საოკუპაციო ბანერის აღმართვა დააანონსეს, რომელიც ჟურნალისტებმა ორი დღის წინ მოხსნეს. „მოამბემ“  ამერიკელი ჟურნალისტი ჩაწერა, რომელიც შეიარაღებული პირების გამოჩენას პირველი შეესწრო. საერთაშორისო გამოხმაურება და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რა გეგმა ჰქონდა ქართულ მხარეს მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად. „მოამბე“ ამ ტემას რამდენიმე დღის განმავლობაში აშუქებდა.

მინისტრთა კაბინეტში ისევ ცვლილებები განხორციელდა. შეიცვალა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები. შინაგან საქმეთა სამინიტროს სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ჩაუდგა სათავეში,  ის კი მისივე მოადგილე  კახი კახიშვილმა შეცვალა. კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები „მოამბის“ მთავარი თემა იყო.

ე.წ. რუსი მესაზღვრეების მორიგი პროვოკაცია აგვისტოს ომის მეშვიდე წლისთავზე. ხურვალეთისა და წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჟურნალისტების მიერ მოხსნილი ბანერი კვლავ აღმართეს. საოკუპაციო საზღვარი კი დეფაქტო ჩინოვნიკებმა ჩაკეტეს. რა მდგომარეობა იყო საოკუპაციო ზოლთან,  როგორია ოფიციალური თბილისის პოზიცია და რაში ადანაშაულებს ხელისუფლებას ოპოზიცია. ამ ტემებს დაუთმო დიდი ადგილი საინფორმაციო სამსახურმა.

ხმაური და დაპირისპირება გამოიწვია მირზაშაფის ქუჩის პროექტმა. საკრებულოში გამართული შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა უმცირესობამ. დარბაზში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ დაცვის სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო. ირაკლი კაკაბაძეს და პარტიზანი მებაღეების ერთ-ერთ წევრს, რომელმაც ინვესტორს წყალი შეასხა, სხდომა სამართალდამცველებმა დაატოვებინეს. ოპოზიცია პროექტის დამტკიცების გადავადებას ითხოვდა, მერია კი ამტკიცებდა, რომ საკითხი მხარეებმა რამდენჯერმე განიხილეს. ამ თემაზე „მოამბემ" რამდენიმე რეპორტაჟი მოამზადა და ყველა მხარეს მისცა საკუთარი არგუმენტების გამოთქმის საშუალება ეთერით.

სტიქიის უმძიმესი შედეგები კახეთში. ყვარელი, ლაგოდეხი,ახმეტა: კახეთის რეგიონში მცხოვრები ათეულობით ოჯახი მოსავლის გარეშე დარჩა. 20-ზე მეტ სოფელში სეტყვამ უმძიმესი კვალი დატოვა. მთლიანად განადგურებულია 2 000 ჰექტრამდე მიწა, დასეტყვილია ხეხილის ბაღები, ვენახები და საზამთროს ბაღებიც. სიტუაციას ის გარემოებაც ართულებდა რომ დაზარალებულთა დიდ ნაწილს ქონება დაზღვეული არ ჰქონდა. რატომ ვერ მოახერხა ნუკრიანში დამონტაჟებულმა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ სტიქიის პრევენცია და მასშტაბური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა: ადგილობრივთა ერთ ნაწილს „დელტას" მიმართ პრეტენზიები აქვს, რის გამოც კომპანიას განმარტებების გაკეთება დასჭირდა. სტიქიის ზონაში „მოამბის" რეგიონული ბიუროს კორეპონდენტი რომან ქევხიშვილი მუშაობდა.

ოფიციალური მოსკოვის მწვავე რეაქცია და მუქარისშემცველი განცხადება თბილისში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნაზე „მოამბის" ერთ-ერთი მთავარი ტემა იყო აგვისტოში. ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაფუძნება, რომელიც საქართველოში რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების ერთერთ ინსტრუმენტად ფასდება, რუსეთის აზრით, რეგიონში უსაფრთხოების მხრივ არსებული ვითარების დაძაბვას ოფიციალური მოსკოვის განცხადებას მოყვა ოფიციალური თბილისის პასუხი.

ხუთდღიანი ტყვეობის შემდეგ საოკუპაციო რეჟიმმა სოფელ ბერშუეთში დაკავებულები გაათავისუფლა. გავრცელებული ინფორმაციით, გორის რაიონის მცხოვრებლები ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ გამოუშვეს. ე.წ რუსმა და ოსმა მესაზღვრეებმა ორი ადგილობრივი 25 აგვისტოს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც პირუტყვს მწყემსავდნენ. სეხნიაშვილი და ჯავახიშვილი ე.წ საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააპატიმრეს და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. „მოამბე" საკითხის გასარკვევად ადგილზე მუშაობდა.

აზერბაიჯანული კერძო ტელეკომპანიის ახალი სატელევიზიო რგოლი საქართველოს საპატრიაქროს შეშფოთების მიზეზი გახდა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც კლუტურული მემკვიდრეობის ძეგლია ტელეკომპანია ატევეს – დიზაინ ჯგუფმა კლიპისტვის გადასაღებ მოედნად გამოიყენა. ვიდეოკადრები სოციალურ ქსელში გავრცელდა. საპატრიაქო საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებს ფაქტის სასწრაფო გამოძიებისა და სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდა. საკითხის შესწავლა უკვე დაიწყო რელიგიის საბჭომ.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ზვიად სიჭინავა გადადგა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე განვითარებულ მოვლენებს გაემიჯნა. აღმასკომის სხდომაზე გახმოვანებული გადაწყვეტილების მიზეზად სიჭინავამ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის განცხადება დაასახელა, რომელიც არჩევნებში გუბერნატორების ჩარევას ვინ იქნება ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი 3 ოქტომბერს გაირკვა. რა რეაქცია მოჰყვა ზვიად სიჭინავას მოულოდნელ გადადგომას საფეხბურთო სამყაროში „მოამბის" გამოშვებებში იქნა გაშუქებული.

საქართველოს როლი ახალი აბრეშუმის გზის პროექტში. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი და მსხვილი საინვესტიციო პროექტები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მთავარი თემები ჩინეთში. ქართული დელეგაცია დალიანის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდა. „მოამბის" კორესპონდენტი სალომე ქოქიაშვილი ჩინეთიდან აშუქებდა ქართული დელეგაციის ვიზიტს.

კახეთში აქციები მიმდინარეობდა. რთველი დაიწყო, მოსახლეობის ნაწილი კი ქუჩაში იყო გამოსული და ვაზის აჩეხვით იმუქრებოდა. დედოფლისწყარო, სიღნაღი და გურჯაანი - ადგილობრივები ყურძნის ფასის გაზრდას ითხოვდნენ. ხელისუფლება გარკვეული ჯგუფების ინტერესებზე საუბრობდა და არ განმორიცხავდა, რომ პროცესები მართული იყო. „მოამბემ" ამ საკითხს არაერთი სიუჟეტი და პირდაპირი ჩართვა მიუძღვნა ადგილიდან.

ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში სექტემბერში მკვეთრად გაუფასურდა. კურსის ცვალებდაობის ტემა მთელი თვე საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა იყო. პოლიტიკოსები და ექსპერტები ლარის დევალვაციას საგარეო ფაქტორებით ხსნიდნენ. კიდევ ერთ მიზეზად კომერციული ბანკებისთვის გაცემული რეფინანსირების გაზრდილი სესხები სახელდებოდა. „მოამბის" ეთერი როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ექსპერტებს ეთმობოდათ.

თუშეთის სოფელ ბოჭორნასთვის საქართველოს ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტის სტატუსის მინიჭების საკითხი „მოამბის“ ექსკლუზიური თემა იყო, რომელიც ჟურნალისტმა ქეთი ბერაიამ დასვა ეთერში. დღეს ამ სტატუსით სოფელი უშგული სარგებლობს, თუმცა გეოგრაფები ამტკიცებდნენ, რომ ტერიტორია, რომელსაც წლების წინ დაკარგული სოფლის ფუნქცია ახლახანს დაუბრუნდა.

საქართველოს პარლამენტის წინააღნმდეგ თბილისის ყიფლი მერის გიგი უგულავას სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა. ერთდღიანი ლოდინის შემდეგ მერაბ ტურავამ განმარტება გააკეთა და ის გარემოებებს ახსნა, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოში არ გამოცხადდა. საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავა 14-თვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. მეორე დღეს კი ისევ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა. „მოამბე“ პირდაპირი ეთერის რეჟიმში აშუქებდა საქალაქო სასამართლოში განვითარებულ მოვლენებს.

ნიუ იორკში გაეროს 70-ე ასამბლეაზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერებს შორის საქართვლოს პრემიერი გამოვიდა. პრემიერის გამოსვლა „მოამბე“ პირდაპირ ეთერში გადასცა. ქართული მხარე სესიის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს დაესწრო, გაიმართა 50-მდე ორმხრივი შეხვედრა, რომელსაც ნიუ-იორკიდან ჩვენი კორესპონდენტი ლიკა ხურციძე აშუქებდა.

**ექსკლუზივები (კორესპოდენტი - ქეთევან ქარდავა)**

**20 აგვისტო- ექსკლუზიური ინტერვიუ- ჯეიმს აპატურაიასთან;**

**28 აგვისტო - ექსკლუზიური ინტერვიუ ნატოს გენერალურ მდივანთან. ექსკლუზიური მასალა- ნატოს გენერაული მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქართველ მხატვართან ნინო ჩაკვეტაძესთან სტუმრად;**

**5 სექტემბერი- სპეციალური რეპორტაჟი სირიელი ლტოლვილების შესახებ, ლტოლვილთა ქალაქი ბელგიაში;**

**5 სექტემბერი- ლტოლვილების კრიზისი - სპეციალური რეპორტაჟი,**

**8 სექტემბერი- ევროკომისიის პრეზიდენტის გეგმა- მიგრანტთა კრიზისი;**

**13 სექტემბერი- გერმანია საზღვრებს ამკაცრებს- სპეციალური რეპორტაჟი ბრიუსელიდან;**

**14 სექტემბერი - ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების შეკრება ბელგიაში.**

**18 სექტემბერი - ევროკავშირის ქვეყნები ლტოლვილებს საზღვრებს უკეტავენ;**

19 სექტემბერი - ომი სირიაში და რუსეთის როლი. სპეციალური რეპორტაჟი ბრიუსელიდან;

22 სექტემბერი - ექსკლუზიური მასალა უკრაინიდან- ნატოს გენერალური მდივნის პირველი ვიზიტი უკრაინაში, ერთობლივი წვრთნები და ქართული კონტიგენტი, ქართველი მაშველები ლვოვში.

29 სექტემებრი - ბრიუსელი - გია ყანჩელის იუბილე - ექსკლუზიური რეპორტაჟი.

30, 31-სექტემებრი საქართველოს დელეგაცია სტრასბურგში, რეზოლუცია საქართველოს შესახებ.

რეგიონები:

1. **კახეთში**
2. **შიდა ქართლში**
3. **ქვემო ქართლში**
4. **სამცხე-ჯავახეთში**
5. **სამეგრელო-ზემო სვანეთშის**
6. **იმერეთსა და რაჩა ლეჩხუმშის**
7. **აჭარაში**
8. **ფოთსა და გურიაში**

1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით : ეთერში გავიდა - 181 სიუჟეტი, ლაივ-სინქრონი - 1060, ტელე-ჩართვა -37;

**აჭარა**

**საკურორტო სეზონის დროს „მოამბემ" სპეციალისტებთან ერთად ექსკლუზიურად ზღვაში** ჩატარებული გამოკვლევების შედეგები აჩვენა. პირველად ბოლო 20 წლის მანძილზე, აღმოჩნდა, რომ ზღვის წყალი სუფთაა.

**მორიგი რეპორტაჟი ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე.** მუსლიმ თემს არსებულ მეჩეთში ადგილი არ ჰყოფნის. სადღესასწაულო ლოცვები ქუჩაში სრულდება. რელიგიური უმცირესობის პრობლემა და ხელისუფლების გადაწყვეტილებები.

**ბათუმში დანგრევის პირასაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი,** რომელშიც მაქსიმ გორკი და ანტონ ჩეხოვი ცხოვრობდნენ. რატომ მივიდა ძეგლი ამ მდგომარეობამდე. რამდენად ღირებულია შენობა და რატომ ფიქრობს ხელისუფლების ნაწილი, რომ მას ძეგლის სტატუსი უნდა მოეხსნას. დეტალებს სწორედ ეს რეპორტაჟი მიეძღვნა;

**იშვიათი სანახაობა ბათუმში. რეპორტაჟი ბოლივუდის ბენდზე, რომელმაც ბათუმში უნიკალური წარმოდგენა გამართა.** ბათუმის კორტებზე ინდური ფოლკლორი, თანამედროვე ინტერპრეტაციები, ცეცხლოვანი ცეკვები და თეატრალიზებული სანახაობები ტურისტისა და ადგილობრივის მიოსვლის მიზეზი გახდა.

**უნიკალური აღმოჩენა აჭარაში-ზღის დონიდან 2600 მეტრზე.** რეპორტაჟი მომზადდა ხიხანის ციხეზე, სადაც ახალი მარნები აღმოჩნდა. არქეოლოგიური კვლევები და ძეგლის ტურისტული გამოყენების პერსპექტივები.

**„მოამბე" ოპერატიულად გამოეხმაურო ბათუმში ბარცხანის დასახლებაში,** ზღვაში ნავთობის ჩაღვრის ფაქტს, რის გამოც ბანაობა აიკრძალა. რეპორტაჟში ნავთობტერმიანლის წარმომადგენლების პოზიციებზე, გარემოს დაცვის სამსახურების რეაგირებასა და ტურისტების შენიშვნებზეა საუბარი.

**„მოამბემ" ექსკლუზიურად გააშუქა წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები თურქეთში,** საქართველოს მოსაზღრე რეგიონში, სადაც 25 აგვისტოს წყალდიდობამ 8 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ოპერატიული პირდაპირი ჩართვები სტიქიის ზონიდან. პარალელურად მომზადდა რეპორტაჟი  ქალაქ ხოფაში არსებულ სიტუაციაზე, ზარალზე და იქ დასაქმებულ  საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობაზე.

**რეპორტაჟი ბათუმში წყალდიდობის შესახებ. პირდაპირი ჩართვები მთელი დღის განმავლობაში.** ასევე რეპორტაჟები სტიქიის ზონიდან, რომელშიც საუბარია წყალდიდობის მასშტაბებზე, მოსახლეობის მდგომარეობასა და ზარალზე.

**„მოამბემ" ასევე ოპერატიულად გააშუქა ალი და ნინოს სკულპტურის დაზიანების** ფაქტი, რასაც საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა. ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სკულპტურის გადამტანი კომპანიისა და საზოგადოების წარმომადგენლების განცხადებები იყო სიუჟეტის მთავარი თემა;

**რეპორტაჟი რელიგიურ უმცირესობაზე. ბათუმში მეჩეტის რეკონსტრუქცია გადაწყდა,** რაც მუსლიმი თემის ნაწილმა და ქართველ მუსლიმთა კავშირმა გააპროტესტა. ისინი ახალი მეჩეთის მშენებლობას ითხოვენ და საქართველოს მუფთს ხელისუფლებასთან გარიგებაში ადანაშაულებენ.

ფოთი გურია

**აგვისტოში, ,,მოამბის" ეთერი დაეთმო სტიქიას, რომელმაც განსაკუთრებული პრობლემები შექმნა ფოთში.** ძლიერმა წვიმამ დატბორა ქუჩები და სახლები. აღნიშნული სიუჟეტების ეთერში გასვლის შემდეგ. ადგილობრივ ხელისუფლებაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც აღწერა ზარალი და ერთჯერადი დახმარება გაუწია დაზარალებულ მოსახლეობას.

**აგვისტოს თვეში „მოამბის" ეთერში გაშუქდა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა ფოთში, ზღვაში დამხრჩვალი მოქალაქეების საგანგაშო სტატისტიკას**. მასში მიმოხილული იყო თითოეული შემთხვევა.

**„მოამბის" ეთერში არაერთი სიუჟეტი მიეძღვა ლანჩხუთის 25 სოფლის მთავარ პრობლემას.** თითქმის თვის განმავლობაში მოსახლეობა ავტობანის მშენებლობას აპროტესტებდა და  აქციებს მართავდა. ისინი ინფრასტრუქტურის მინისტრთან შეხვედრას მოითხოვდნენ. **მათ მხოლოდ ,,მოამბის" ეთერში მიეცათ საშუალება  მინისტრისაგან მოესმინათ ამომწურავი პასუხები მათთვის აქტუალურ საკითხებზე.**

**იმერეთი რაჭა ლეჩხუმი**

**ექსკლუზიურად გადაიღო „მოამბი"ს გადამღებმა ჯგუფმა კადრები , რის შემდეგ მოამზადა რეპორტაჟი** - გველების შემოსევა ქუთაისში - მოუვლელი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია. ვინ იღებს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიის მოვლასა და დასუფთავებაზე და რას ითხოვს ავტოქარხნის უბნის მოსახლეობა.

**ექსკლუზივი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმში-სოფელ დეხვირში სპეციალისტებმა უძველეს სამარხებს, ქვევრებს და ციხე-კოშკის ნანგრევებს მიაკვლიეს.**

**ექსკლუზივი ვანიდან -  გალაკტიონისა და ტიციან ტაბიძის სახლმუზეუმები.** I არხის მაყურებელმა ნახა, თუ  რატომ ხვდება გენიოსების სახლმუზეუმებში შესული დამთვალიერებელი საბჭოთა კავშირში, რატომ ინახება ნესტში პოეტების პირადი ნივთები და რატომ არის თითქმის დაცარიელებული მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი. კულტურის სამინისტროს პასუხი და სამომავლო გეგმები სახლმუზეუმებთან დაკავშირებით.

„მოამბში" გასული  სიუჟეტის შემდეგ სამინისტრომ სარეაბილიტაციო პროექტზე დაიწყო მუშაობა.

**ექსკლუზივი მოამბის მაყურებელმა ქუთაისის ტურისტული ლოგოს შესახეგ ატეხილი ხმაურის შესახებ შეიტყო.** საკონკურსიო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადებული ლოგოს ავტორი და მოწინააღმდეგეები... მოამბის გადამღები ჯგუფის მიერ თემაზე სიუჟეტის მზადების დაწყების შემდეგ, მერიამ კონკურსი ჩაშლილად გამოაცხადა...

**შიდა ქართლი**

**ივლისი თვეში მოამბე აქტიურად ეხმიანება საოკუპაციო ზოლში შექმნილ მდგომარეობას.** სოფ. წითელუბანსა და ხურვალეთში , ასევე ოკუპირებულ ორჭოსანთან საოკუპაციო ზოლის გადმოწევა ორი კვირის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდა. „მოამბის“ თითქმის ყველა გამოშვებაში იყო პირდაპირი ჩართვები შემთხვევის ადგილიდან და მომზადდა არაერთი რეპორტაჟი, სადაც ნაჩვენები იყო ის პრობლემები რომელიც მოსახლეობას საოკუპაციო ზოლის გადმოწევის შედეგად შეექმნა.

**ექსკლუზივი** სოფ.. კიწნისის მოსახლეობა სემეკის დადგენილების შესრულებას ითხოვს და ადგილობრივ გაზგამანაწილებელ კომპანიას უპირისპირდება. ამ თემით ჩვენი დაინტერესების შემდეგ ადგილზე ვითარების გასაცნობად სემეკის წარმომადგენელი ჩავიდა და სოფ. ქიწნისის გარდა კიდევ სამი სოფლის აბონენტებს განუმარტა, რომ მათაც შეუძლიათ მოითხოვონ დაზგამანაწილებელი კომპანიისგან უფასოდ გაზის სახლებში შეყვანა და ამისტვის მათ აღარ მოუწევთ 400 ლარის გადახდა..

სამცხე ჯავახეთი

ღვარცოფმა ადიგენის მუნციპალიტეტის სოფელ დერცლის მთაში მისასვლელი გზა მოწყვიტა. მთაში მყოფი 200-მდე ადამინი გზისა და სასმელი წყლის გარეშე დარჩა. ადგილობრივები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშულებბდნენ და დახმარებას **ითხოვდნენ. საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასული სიუჟეტის შემდეგ, 3 დღეში, აღდგენილი იქნა სავალი გზა და სასმელი წყალი.**

ქვემო ქართლი

**ქვემო ქართლის ბიურომ გააკეთა მნიშვნელოვანი რეპორტაჟი მარნეულის რაიონის საზღვრისპირა სოფლიდან. სოფელი სადაც მხოლოდ ხუთი ოჯახი არის დარჩენილი.**

საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი იყო ვინც გააშუქა ინფორმაცია დაკარგული მოზარდის შესახებ. სწორედ „მოამბის“ ჟურნალისტმა პირველმა ჩაწერა დაკარგული ბავშვის მეგობარი და **ექსკლუზიურად მოიპოვა ინფორმაცია, თუ სად იმალებოდა მოზარდი**.

**ქვემო ქართლის ბიურომ მოამზადა საკმაოდ მწვავე რეპორტაჟი სოფელ კუმისის შესახებ.** სადაც ხანძრის შედეგად უამრავი ადამინი უსახლკაროდ დარჩა. თავად სოფელი კი წყლის გზის ტრანსპორტის და სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების გარეშეა წლებია დარჩენილი.

**სექტემბრის თვეში კიდევ ერთი მწვავე რეპორტაჟი მომზადდა სოფელ ვაზიანის დასახლებაზე სადაც მოსახლეობას უმძიმეს პირობებში უწევს ცხოვრება.**

**კახეთი**

„მოამბე“ რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად ადევნებდა თვლას ახალგაზრდების სირიაში წასვლის თმას. პანკისის ხეობაში მომზადა **ექსკლუზიური სიუჟეტები**, ქალების და არასრულწლოვანების სირიაში წასვლაზე.

და ხეობაში არსებულ სოფლებს შეიძლება სერიოზული საფრთხე შუქმნას.
**ისევ სტიქია კახეთში დატბორილი ვენახი, განადგურებული საზამთროს ბაღები, შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა.** „მოამბე“ აქტიურად ადევნებდა თვალს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს.

ხმაური და დაპირისპირება კახეთში - მევენახეები ყურძენზე დაწესებულ ფასებს აპროტესტებენ და ხელისუფლებას რეაგირებას სთხოვენ. „**მოამბემ “ დღის და მთავარ გამოშვებაში რამდენიმე რეპორტაჟი მიუძღვნა** გლეხების პრობლემებს.

**„მოამბის“ სტუმრის ბლოკი :**

მოამბის სტუმრის ბლოკი ყოველდღიურად ეხმაურება დღის მთავარ მიმდინარე მოვლენებს და სტუმრად იწვევს პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საზოგადოების წინაშე იმ კონკრეტულ ფაქტზე. სტუმრის ბლოკში ხელისუფლების პირველი პირების გარდა კონკრეტულ თემებზე სასაუბროდ „მოამბის“ სტუდიაში უმრავლესობის და ოპოზიციის ლიდერები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელიც მოწვეული იყვნენ „მოამბის“ სტუმრის ბლოკში.

## საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

### მარკეტინგის სამსახური

1. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება "people meters"-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

2. გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მინზნობრივი ჯგუფების მიხედვით.

3. ყოველთვიურად მზადდება გადაცემების სარეიტინგო მონაცემები და ეგზავნება ფინანსურ დეპარტამენტს.

4. ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულობს ყველა საერთაშორისო პროექტების ჩვენების შემდეგ გავგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები, შესაბამისად ყველა საერთაშორისო პროექტზე (სპორტული ღონისძიებები, კონცერტები) სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

5. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნით, მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო აუდიტორიის შესახებ, აუდიტორიის ცალკეული კატეგორიების, სატელევიზიო არხების და სხვა პარამეტრების მიხედვით.

6. გადაიხედა და გადახარისხდა ჩვენს საკუთრებაში არსებული მხ. ფილმების ბაზა და დაიგეგმა მათი ეთერში გადანაწილების სტრატეგია.

7. რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ბაზაზე მომზადდა სტატისტიკური ანალიზი, გამოვყავით სამომხმარებლო სეგმენტები და მოხდა მათი დახასიათება დემოგრაფიული მონაცემების, პროგრამული პრიორიტეტების და ცხოვრების სტილის მიხედვით

8. შევისწავლეთ ბაზარზე არსებული გარე სარეკლამო საშუალებები (ბილბორდები, ავტობუსები, სამარშრუტო ტაქსები, მეტრო), შედგა ბიუჯეტი და გადაეგზავნა ხელმძღვანელობას შემდგომი განხილვისთვის.

9. ჩატარდა გადაცემების „კომუნიკატორი“ და „მოამბე“ (ცალ–ცალკე) თვისობრივი კვლევა, ჯგუფური დისკუსიის, ფოკუსჯგუფის მეთოდით. კვლევა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული სახელმძღვანელო გაიდის საფუძველზე.

**კომუნიკატორი**

*კვლევის მიზანი*

- გადაცემა „კომუნიკატორისადმი“ მაყურებელთა დამოკიდებულების გარკვევა
- გადაცემა „კომუნიკატორის“ ტელეაუდიტორიის მოთხოვნების იდენტიფიცირება
- გადაცემა „კომუნიკატორის“ კონტენტის შეფასება.
- გადაცემა „კომუნიკატორის“ წამყვანების შეფასება
- გადაცემის სტუდიის და ქუდის შეფასება
- გადაცემის ეთერში გასვლის დროისა და ქრონომეტრაჟის შეფასება

**მოამბე**

*კვლევის მიზანი*

- საინფორმაციო პროგრამა „მოამბისადმი“ მაყურებელთა დამოკიდებულების გარკვევა
- ინფორმაციის სეგმენტის მოთხოვნების და ღირებულებების იდენტიფიცირება
- კონკურენტი არხების საინფორმაციო პროგრამების შეფასება
- საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამის კრიტერიუმების კვლევა

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

- **მედიაპარტნიორობა**

1. **თეატრალური პრემია „დურუჯი“**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია თეატრალურ პრემია „დურუჯს“, რომლიც 2015 წლის აპრილში ჩატარადა.

2. **მსოფლიო რბენა**

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით მაისის თვეში მაუწყებლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო რბენაში, ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათის იყო და მიზნად ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანების მხადაჭერას ისახავდა. ღონისძიებას საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდაჭერა გაუწია.

3. **იოსებ ნონეშვილის საიუბილეო საღამო**

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპარტნიორობით მაისის თვეში, რუსთაველის თეატრში იოსებ ნონეშვილის დაბადებიდან 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. პოეტის ლექსები და მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები პოეტებმა, ცნობილმა ხელოვანებმა და საზოგადო მოღვაწეებმა წაიკითხეს.

4. **„ერთად სიცოცხლის სადარაჯოზე“**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია ანიტა რაჭველიშვილის ინიციატივით მაისის თვეში გამართულ საქველმოქმედო კონცერტს „ერთად სიცოცხლის სადარაჯოზე“. კონცერტის ფარგლებში შემოსული თანხა მკერდის სიმსივნით დაავადებულთა დასახმარებლად შექმნილ ფონდში გადაირიცხა.

5. **ანსამბლი "მძლევარი"**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია ანსამბლ "მძლევარის" დაარსებიდან 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელიც ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა.

6. **„ღამის სერენადები“**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია 25 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალს „ღამის სერენადები“. ფესტივალის მიზანი კიბოთი დაავადებული ბავშვების დახმარება იყო.

7. "ბათუმი მიუზიქ ფესტ-2015"

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ "ლირას" ორგანიზებით დაარსებულ ფესტივალს "ბათუმი მიუზიქ ფესტ-2015", რომელიც 10-15 სექტემბერს გაიმართა.

8. "სიმღერა სამეგრელოზე"

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია ხობში მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე". ფესტივალი 2 და 3 ოქტომბერს ხობში გაიმართა. 2015 წელს ფესტივალის მთავარი სტუმრები ანსამბლი "რუსთავი" და თამარ გვერდწითელი იყვნენ, მათთან ერთად კონცერტებში სხვადასხვა ფოკლორული ანსამბლი და საესტრადო შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

9. „ნატვრის ხე"

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდის "ნატვრის ხე" მიერ ოპერის მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით გამართულ საქველმოქმედო გალა-კონცერტს. კონცერტი 13 სექტემბერს გაიმართა და მძიმე სენით დაავადებული ბავშვების დახმარებას ისახავდა მიზნად.

10. ბრეიქდანსის აღმოსავლეთ ევროპის ფინალი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია თბილისში გამართულ ბრეიქდანსის აღმოსავლეთ ევროპის ფინალს. ღონისძიების ბილეთები გათამაშდა მაუწყებლის შიდა პორტალზე Infoletters და პირველი არხის Facebook-ის გვერდზე.

11. Tbilisi Open Air 2015

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია ფესტივალს Tbilisi Open Air 2015. ფესტივალის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის საიმიჯო რგოლის განთავსება.

## სხვა ღონისძიებები

12. ზაზა დარასელის მემორიალური ტურნირი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით ივნისის თვეში ჩატარდა ზაზა დარასელის მემორიალური ტურნირი მინიფეხბურთში. პირველი არხის გუნდმა ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა. მედიატურნირი 2015 წელს საიუბილეო იყო და ის ზაზა დარასელის დაბადებიდან 65 წლისთავს მიეძღვნა.

## 13. ექსკურსია საზოგადოებრივ მაუწყებელში

5-6 მაისს საზოგადოებრივ მაუწყებელს #161-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. მათ სტუდიები, საეთერო, სარეჟისორო, ახალი ამბების და საზოგადოებრივი რადიოს სტუდიები დაათვალიერეს. ექსკურსია განათლების და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის პროგრამის "პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა" ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანია IX-XII კლასის მოსწავლეებს დაეხმაროს პროფესიის შერჩევაში.

## 14. პოზიტივის ფესტივალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანებმა მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელებულ პროექტში „პოზიტივის ფესტივალი“.

## 15. რეკომენდაციები სახახლო დამცველის 2014 წელის ანგარიშის მიხედვით

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, იურიდიულ სამსახურთან ერთად მაისის თვეში მოამზადა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წერილობითი დოკუმენტი.

## 16. შენი პროექტი მაუწყებელზე!

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, იურიდიულ და ვებ სამსხაურთან ერთად კოორდინაცია გაუწია მაუწყებლის მიერ ივლისის თვეში გამოცხადებულ პროექტების მიღებას. რომლის ფარგლებშიც კოორდინაცია ეწეოდა მიღებეული პროექტების სისტემურად ორგანიზებას, მათ მიწოდებას კომისისს წევრებისთვის და შემდგომ უკვე კომისისს წევრების სხდომების დანიშვნა ჩატარებას.

## 17. წიგნების გამოფენა-გაყიდვა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით 7-8 აპრილს, ტელევიზიის ფოიეში მაღაზია "ლიბრას" წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია ფასდაკლების სისტემა მოქმედებდა.

**18. მაუწყებლობის 90-წლის იუბილე**

2015 წელს მაუწყებლობის 90-წელი შესრულდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მედიისთვის მომაზადა შესაბამისი საინფორმაციო მასალები და უზრუნველყო მათი გავრცელება, ასევე დაიბეჭდა თარიღთან დაკავშირებული საიმიჯო მასალები და დისკები.

**19. ვებ ბანერების განთავსება**

აპრილის თვეში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო გადაცემების „კომუნიკატორი" და „მოამბე" ბანერების განთავსება საინფორმაციო პორტალზე IPN. პორალზე ambebi.ge კი განთავსდა ერვროვიზის ვებ ბანერი.

**20. ევროივიზიის ფანკლუბი**

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კოორდინაცია გაუწია 23 მაისს ევროვიზიის ფინალის დროს ფანკლუბის ჩართვებს საინფორმაციო გადაცემაში „მოამბე".

**21. „რეალური სივრცე"**

22 სექტემბერს გადაცემამ „რეალური სივრცე" გამართა შეხვედრა რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კოორდინაცია გაუწია ჟურნალისტებთან კომუნიკაციას და მათ ტრანსპორტირებას.

**22. შეხვედრა სპორტის გულშემატკივრებთან**

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 3 სექტემბერს ვერის ბაღში სპორტის გულშემატკივრებთან შეხვედრის ორგანიზებაში. აღნიშნული ღონისძიებისთვის დაიბეჭდა სპეციალური ბანერი.

**23. UEFA**

11 აგვისტოს თბილისში ჩემპიონთა ლიგის Super Cup - ის თამაში ჩატარდა. აღნიშნულ თამაშთან დაკავშირებით UEFA - მ გამოუშვა სპეციალურ ჟურნალი, რომელშიც განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საიმიჯო მასალა.

**24. უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებელი**

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და უკრაინის საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო უკრაინის ტელევიზიისთვის დოკუმენტური ფილმების „ხმა“ და „ვაზში დაკარგულები“ მიწოდება.

**25. საზოგადოებრივი მაუწყებელი AXS-ის რუქაზე**

27 აპრილიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი AXS-ის რუქაზე მწვანედ არის აღნიშნული. ე.წ. AXS რუქაზე მწვანედ არის აღნიშნული ის ორგანიზაციები და შენობები, რომლებიც ადაპრიტებული და ხელმისაწვდომია ის შშმ პირებისთვის.

26. **Infoletters-ი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა პორტალ Infoletters-ზე თამაშდებოდა წამახალისებელი პრიზები და პერმანენტულად თავსდებოდა მედიის შესახებ საჭირო და საინტერესო ინფორმაცია.

**27. ურნალი OK**

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „ინტელიჯენტ მედიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ჟურნალში OK-ში განთავსდა პრომო მასალები.

- **მოქალაქეებთან შეხვედრა**

იპოთეკით დაზარალებულებმა ტელევიზიასთან რამდენიმე აქცია გამართეს. ამჟამად, ისინი გრძელვადიანი სესხის გაცემას და საბანკო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის საქმიანობის გამოძიებას ითხოვდნენ.
ასევე მოგვამრთეს სტუდენტებმა, რომლებიც საერთო საცხოვრებლის მშენებლობა-კეთილმოწყობას მოითხოვდნენ, მათ ძირითად ნაწილს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები შეადგენდა, რომლებიც ჩიოდნენ სოციალური გაჭირვების გამო.
ასევე მოგვმართეს მარტოხელა დედბმა და რეგიონში მცხოვრებმა ქალებმა (საკითხებზე: ძალადობა, ფემიციდის გახშირებული შემთხვევები), ისინი მოითხოვდნენ მაუწყებლის აქტიურ ჩარევას, გააქტიურებას და დროულ თანადგომას.
მოქალაქეებმა მოგვმართეს ოჯახის მარჩენალი ქალების მიგრაციის თაობაზეც.

- **წერილები**

2015 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, სასჯელაღსრულების N7, N15 N 2, და N 8  დაწესებულებებიდან 100-ზე მეტი წერილი მივიღეთ, რომლებშიც პატიმრები ითხოვენ მათი საქმეები გადახედვას. არასათანადო რეაგირების შემთხვევაში აპირებდნენ პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოყენებას. „გამომძიებელი რეპორტიორის“ ჯგუფმა იმუშავა აღნინიშნულ პრობლემაზე.
შემოვიდა ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (მოხსნილი სოც. დახმარება, უმწეოთა უფასო სასადილოებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა) და უსახლკარო ადამიანების წერილები, რომლებიც უბინაობის გამო ვერ იღებენ შემწეობას. ამ თემებზე მომზადდა სიუჟეტები და გადაიცა პროგრამა „მოამბით“ (აპრილი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი). მეორე არხის ეთერში გაშუქდა აღნიშნული მოქალაქეების პრობლემები. გადაცემაში „რეალური სივრცე“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ისაუბრეს.
ასევე შემოვიდა ყოფილი პატიმარი ქალების წერილები, რომლებიც ჩივიან მათ საჩივრებზე არასათანადო რეაგირების გამო. ერთ-ერთმა მათგანმა, სვეტლანა მაიუსურაძემ რამდენიმე წერილი მოგვწერა და მრავალჯერ მოგვმართა პრობლემის გაშუქების თაობაზე.

- **პრესა**

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.
საზოგადოებრივ მაუწყებელში და სატელევიზიო მედიაში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და მაუწყებლის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა 2015 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით პრესასთან დაკავშირებული №209-1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის **ონლაინ მუზეუმისთვის** მომზადდა ტელევიზიის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული მასალები (1956-1960).

**საერთაშორისო ურთიერთობები:**

- **EBU MIS - ევროპის მაუწყებელთა კავშირის კვლევა**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირს, კვლევის ფარგლებში მიაწოდა 2014 წლის მონაცემები, რაც მოიცავს პროგრამების, ფინანსების, მარკეტინგის და ადამიანური რესურსების ანგარიშს.

- **რეგიონალური შეხვედრა არქივთან დაკავშირებით**
  11-13 მაისს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო EBU-ს მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ შეხევრდრაზე არქივთან დაკავშირებით, რომელიც გაიმარა სერბეთში ქალაქ ბელგრადში.

- **ლატვიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია**
  7-10 მაისს ლატვიის უნივერსიტეტის მოწვევით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში "Opting for Statehood", რომელიც გაიმართა ლატვიაში ქალაქ რიგაში.

- **EBU Academy**
  საზოგადოებრივ მაუწყებელში, ევროპის მაუწყებელთა კავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ტრენინგ ცენტრი EBU Academy, რომელიც გადაამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს.
  20-23 აპრილს პროფესიონალებისგან შემდგარმა ქართველმა ტრენერების ჯგუფმა უკვე გაიარა სპეციალური საკვალიფიკაციო პროგრამა.

- **ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 2015**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროვიზიის რიგით 60-ე სიმღერის კონკურსში, რომელიც გაიმართა ავსტრიაში ქალაქ ვენაში.

- **სიმპოზიუმი "Eurovision Relations"**
  ევროვიზია 2015-ის ფარგლებში საზოგადოებრვიმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ვენის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „Eurovision Relations".

- **მოლაპარაკებები საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფთან "INNOVATION"**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფთან "INNOVATION" გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით.

- **შეხვედრა ჩეხეთის საელჩოსთან**
  2015 წლის 20 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებელი მიწვეულ იქნა ჩეხეთის საელჩოში მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად.

- **„ბაქო 2015"**
  „ბაქო 2015"-ის ფარგლებში მოლაპარაკებები შედგა ბრენდირების ტექნიკურ დეტალებზე. მარკეტინგის სამსახურთან ერთად დამზადდა შესაბამისი ბანერი, რომელიც განთავსდა ტელევიზიის შენობის ფასადზე.

- **„ადამი მედია პრიზი"**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო საერთაშორისო კონკურსის **„ადამი მედია პრიზი"** - ის შესაძლო პარტნიორობაზე, რომლის ჩატარებაც იგეგმება 2015 წლის დეკემბრის თვეში, თბილისში.

- **EBU HR Assembly**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 15-16 ივნისს მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ადამიანური რესურსების ასამბლეაზე.

- **EBU General Assembly**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 23-28 ივნისს მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ გენერალურ ასამბლეაზე.

- **საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი "INNOVATION"**
  14-17 ივნისს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეწვია საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი "INNOVATION"- ის კონსულტანტი ხუან გინერი. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით. მოგვიანებით კი გაფორმდა ხელშეკრულება გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევის მიზნით.

- EBU Finance Assembly
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ფინანსურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა 16-19 სექტემბერს, ჩეხეთში, ქალაქ პრაღაში.

- **საერთაშორისო კონფერენცია**
  23-26 სექტემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის და ხორვატიის პარლამენტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, სადაც განხილულ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლების როლი და მათი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა.

- **ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე და ასევე კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი პირების შეხვედრებს.**

6 თვის განმავლობაში მომზადდა 470 სამივლინებო განაცხადი, აქედან 726 სასტუმროს ნომრის, 60 ავიაბილეთის, 33 მატარებლის ბილეთის დაჯავშნა/შეძენა, საზოგადოებრივი მაუწყებლის 39 თანამშრომლისთვის შენგენის ვიზის მისაღებად საკონსულოში ვიზიტის დაგეგმვა, საბუთების მოგროვება, ანკეტის შევსება , სატელეფონო ლიმიტების განსაზღვრა მათთვის მივლინების დროს. ფინანსური სამსახურისთვის მოვამზადე 32 მოხსენებითი ბარათი და მიღება-ჩაბარების აქტი ტურისტული სააგენტოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე.

**სარეკლამო სამსახურის**

**აპრილი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მიმდინარე სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- მომსახურეობა გავუწიეთ ევროვიზიის ღონისძიებებისთვის დადებულ კონტრაქტებს;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

- სარეკლამო კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად მოლაპარაკებები ვაწარმოეთ და შეთანხმებები გავაფორმეთ კონტრაქტორ კომპანიებთან.

**მაისი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- გავყიდეთ ევროვიზიის ტრანსლაციებისას სარეკლამო შეთავაზებები და მოვემსახურეთ;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

**ივნისი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- გავყიდეთ ბაქო 2015 ევროპული თამაშების სასპონსორო, ფეხბურთში 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები და მოვემსახურეთ. ბაქო 2015 ევროპული თამაშების ფარგლებში სპონსორტან ერთად დაიგეგმა გარე აქტივობები;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

## აპრილი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| დამკვეთი | თანხა აშშ დოლარში | თანხა ლარში |
| საქართველოს კალათ. რ.ფედერაცია | 1000,00 | |
| შპს „წისქვილი“ | | 601,90 |
| შპს „მიფასი“ | | 500,00 |
| შპს ``დეკა`` | | 70,00 |
| ინდ.მეწ. „გივი გორდაძე“ | | 1000,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 450,41 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| ჯამი: | 1 000,00 | 5 122,31 |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| დამკვეთი | თანხა აშშ დოლარში | თანხა ლარში |
| შპს „სპოტ მედია“ | 2000,00 | |
| შპს „მედია 10“ | 1800,00 | |
| შპს „სპოტმედია“ | 300,00 | |
| შპს „მედია 10“ | 2000,00 | |
| შპს„მედია 10“ | 3000,00 | |
| შპს „მედიაპორტი“ | 1800,00 | |
| სს „ჰიუნდაი ავტო საქრთველო“ | | 875,00 |
| სს „ბანკი რესპუბლიკა“ | | 23800,00 |
| შპს „კრეატორი“ | | 2000,00 |
| ჯამი: | 10 900,00 | 26675,00 |

## მაისი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| დამკვეთი | თანხა აშშ დოლარში | თანხა ლარში |
| საქართველოს კალათ. რ.ფედერაცია | 1000,00 | |
| შპს „წისქვილი“ | | 216,70 |
| შპს „მიფასი“ | | 500,00 |
| შპს ``დეკა`` | | 70,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 614,19 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| ჯამი: | 1 000,00 | 3 900,89 |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „დელტა მედია“ | 855,00 | |
| სს „ჰიუნდაი ავტო საქრთველო“ | | 875,00 |
| სს „ბანკი რესპუბლიკა“ | | 15 400,00 |
| შპს „კრეატორი“ | | 2000,00 |
| **ჯამი:** | **855,00** | **18 275,00** |

## ივნისი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| საქართველოს რაგბის კავშირი | 1500,00 | |
| შპს „მიფასი“ | | 250,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 163,78 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2250,00 |
| **ჯამი:** | **1 500,00** | **2663,78** |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „თბს ტვ მედია“ | 9000,00 | |
| სს „UM Georgia“ | 450,00 | |
| შპს „მედია 10“ | 4000,00 | |
| სს „ბანკი რესპუბლიკა“ | | 10 800,00 |
| შპს „კრეატორი“ | | 2000,00 |
| **ჯამი:** | **13450,00** | **12 800,00** |

**ივლისი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მიმდინარე სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- გავყიდეთ რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის სასპონსორო მომსახურეობა;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

**აგვისტო 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- გავყიდეთ ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატის სარეკლამო და სასპონსორო შეთავაზებები და მოვემსახურეთ;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

**სექტემბერი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- გავყიდეთ კალთბურთში ევრო 2015 და რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის სასპონსორო და სარეკლამო შეტავაზებები და მოვემსახურეთ. კვირის პალიტრასთან და კინო დისტრიბუციასთან ვაწარმოეთ მოლაპარაკება და შევთანხმდით არხის გარე პრომოუშენზე სარეკლამო განთავსებების სანაცვლოდ;

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

## ივლისი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო„ | 1000,00 | |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| **ჯამი:** | **1 000,00** | **2500,00** |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „SAH&CO“ | 400,00 | |
| შპს „კრეატორი“ | | 2000,00 |
| **ჯამი:** | **400,00** | **2000,00** |

## აგვისტო 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| საქ. კალათბურთის ეროვნული ფედერაცია | 3000,00 | |
| **ჯამი:** | **3 000,00** | |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „SAH&CO“ | 400,00 | |
| ააიპ „საქ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 4000,00 | |
| შპს „მედია 10“ | 3000,00 | |
| შპს „UM Georgia“ | 1000,00 | |
| შპს „მედია პორტი“ | 1600,00 | |
| შპს „მედია 10“ | 4000,00 | |
| **ჯამი:** | **14 000,00** | |

## სექტემბერი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „კვირის პალიტრა“ | 3621,00 | |
| შპს „კინო დისტრიბუცია“ | | 24 000,00 |
| შპს „გიგასტუდიო“ | | 20 500,00 |
| **ჯამი:** | **3 621,00** | **44500,00** |

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს „SAH&CO“ | 400,00 | |
| შპს „მედიაპორტი“ | 550,00 | |
| შპს „ბეთერფლაი“ | 3 360,00 | |
| შპს „ავიატორი“ | 15 000,00 | |
| შპს „სპოტმედია“ | 43 500,00 | |
| შპს „მედია 10“ | 15 520,00 | |
| შპს „მედიაპორტი“ | 4 000,00 | |
| შპს „პრომედია“ | 7 000,00 | |
| შპს „ფორმულა პროეკო ფროდაქშენი“ | 17 000,00 | |
| შპს „მედია 10“ | 8 000,00 | |
| **ჯამი:** | **114 330,00** | |

## ტექნიკური განვითარების სამსახური

2015 წლის დასაწყისში შემუშავებული გარდამავალი გეგმის თანახმად 2015 წლის მეორე და მესამე კვარტალში მოეწყო მეექვსე სტუდია საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი, დილის გადაცემებისათვის, გადაცემა რეალური სივრცისა და ტელეგადაცემა კომუნიკატორისათვის.

გადაცემების მოთხოვნის თანახმად საეთერო სტუდიასა და გადაცემების წარმოებისათვის დამონტაჟდა და მოდერნიზირებული იქნა შემდეგი პროგრამული და ტექნიკური საშუალებები :

- რვა ვიდეო სამონტაჟო მაღალი გარჩევადობის მხარდაჭერით.
- ვიდეოს წამოების სერვერები.
- ორი ვიდეო წარმოების სერვერისა და ფაილის მენეჯმენტის კომპონენტები “Interplay Assist”.
- ექვსი ფაილის საძიებო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა “Interplay Access”.
- მაღალი გარჩევადობის გრაფიკული სადგური, რელურ დროში რენდერის მხარდაჭერით.
- ორი დამოუკიდებელი სადგური, ინტერნეტ კომუნიკაციებისათვის.
- სამუშაო სადგური აუდიო წარმოებისათვის.
- ჩანაცვლა ხმის ანალოგური 16 არხიანი მიქშერი, უფრო თანამედროვე, 24 არხიანი ნახევრად ციფრული მიქშერით.
- მეორე არხის სამუშაო სადგური ჩანაცვლდა მეექვსე სტუდიის გადაცემების წარმოების სისტემისათვის.
- მეექვსე სტუდიის სარეჟისოროში დაემატა პროფესიონალური ფერის კორექციის სისტემა.
- სტუდიაში დამონტაჟდა ხუთი მაღალი გარჩევადობის მონიტორი, საეთერო ციკლების და გარე ჩართვებისათვის.
- სტუდიის სარეჟისოროში დაემატა პროფესიონალური კონტროლის მონიტორები.
- ვიდეო ტრაქტის გამართული მუშაობისათვის დაემატა მაღალი გარჩევადობის ვიდეოს კონვერტაციის აპარატურა.
- წამყვანებისათვის პირდაპირ ეთერში ტაბელტური კომპიუტერიდან მართვისათვის შევიძინეთ სპეც პროგრამული უზრუნველყოფა.
- შევიძნეთ ლეპტოპი ე.წ “Touch Screen”-ის ფუნქციისთ და პირდაპირ ეთერში ვიდეო სიგნალის დუბლირების საშუალებით.
- დაემატა სამუსაო ლეპტოპი წამყვანებისათვის, პირდაპირ ეთერში ვიდეო სიგნალის დუბლირების საშუალებით.

- წამყვანებისათვის ასევე დაემატა ორი ტაბლეტური ტიპის კომპიუტერი, ასევე პირდაპირ ეთერში ვიდეო სიგნალის დუბლირების ფუნქციით.
- მოდერნიზირებული იქნა ვიდეო წარმოებისა და ჩაწერის სერვერები.
- გაიმართა ე.წ "Touch Screen"-ის ტიპის მონიტორული სისტემა.

პირველი არხის ცენტრალურ საეთეროში დამონტაჟდა სერვერების კონტროლერი iCommand, მაღალი გარჩევადობის კონცერტების, კლიპებისა და ვიდეო ფაილების გასაშვებათ.

პირველი არხის გადაცემების მოცულობის გათვალისწინებით მოხდა არსებული სისტემის გადაწყობა მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. გეგმის მიხედვით მოდერნიზირებული იქნა სისტემის ცენტრალური სააპარატო (Ingest Room). სისტემაში ჩართული გადაცემების მოცულობის მოთხოვნის შესავსებად, არსებული რვა სამონტაჟო სისტემიდან სამი სამონტაჟო სისტემა მიეცა ცენტრალურ სააპარატოს, ვიდეო მასალის ტრანსკოდირების, კონსოლიდაციისა და ცენტრალურ მასივზე ეფექტურად ასახვისათვის, ხუთი სამონტაჟო სისტემა გაიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე სართულზე სამონტაჟოების ბლოკში.

საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის თანახმად, ქალაქ თბილისის პარლამენტში დაგეგმილი ღონისძებისათვის, პარლამენტის ცენტრალურ დარბაზში გადაეწყო ტექნიკური საშუალებები მაღალი გარჩევადობისა და ხარისხის მისაღებად.

საზოგადებრივი მაუწყებლის სტრატეგილი გეგმის თანახმად 2015 წლის მესამე კვარტალში დაიწყო ტექნიკური საშუალებების გამართულობისა და მათი გამოყენების მოკვლევა, სამომავლო მაღალი გარჩევადობისა და ინტელექტუალურ, ავტომატიზირებული მედია მენეჯმენტის მართვის სისტემურ უზრუნველყოფაზე და მულტიმედიურ პლადფორმაზე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არხებისა და რადიოს მოდერნიზაციისათვის.

2015 წლის მეორე კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი, პირველი არხის პროგრამების ინტელექტუალურ, ავტომატიზირებული მედია მენეჯმენტის მართვის სისტემური უზრუნვეყოფისათვის, არსებული სამონტაჟო, გარე და სტუდიური გადაღებების, სტუდიის სარეჟისორებისა და სოციალური ქსელების ინტეგრაციისათვის, ინტერნეტ საშუალებების პირდაპირ ეთერში გამოყენებისათვის და საარქივო, სასერვერო სისტემების განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი რადიო, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. რადიომაუწყებლობის მეორე არხის FM გადამცემს, რომელიც მთაწმინდის ანძაზეა განთავსებული, დაუზიანდა სტერეო-ინკოდერის და ფინალური ხმის პროცესირების ბლოკი „ორბან 2200“, რომლის ჩანაცვლება დროებით მოხერხდა რადიოს ტექნიკური სამსახურის მიერ აწყობილი დროებითი მოწყობილობით.
2. ლიტ-დრამ სტუდიიდან ცენტრალურ სააპარატოში გაყვანილი იქნა შემაერთებელი კაბელები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ლიტ-დრამ სტუდიის ჩართვა პირდაპირ ეთერში.
3. მულტიმედიური სამაუწყებლო კონცეპციის განსახორციელებლად, მოხდა ტელე და რადიო სტუდიებს შორის კომუნიკაციის, ურთიერთჩართვების და ერთობლივი ეთერის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მაკავშირებელი აუდიო-ვიდეო სასიგნალო კაბელების და სხვა საჭირო მოწყობილობების მონტაჟი.
4. რადიომაუწყებლობის პირველი საზოგადოებრივი არხის ფინალური ხმის პროცესორის მუშაობის პარამეტრები შესწორებული იქნა საეთერო გადაცემისას ანონსების და წარმოების მიერ მოწოდებული მასალების ჟღერადობის ნატურალური ხარისხის მისაღწევად.
5. დაზიანების შემდგომ აღდგენილ იქნა გარე ჩაწერების მიკროავტობუსში დამონტაჟებული აპარატურის დამუხტვის ბლოკი.
6. საეთერო სტუდიის ვიდეო კამერებიდან პულტამდე დამაკავშირებელი კაბელები CAT-5 შეიცვალა CAT-6-ით.
7. საეთერო სტუდიის სააპარატოში ვიდეო სიგნალების დაზიანებული გამამრავლებელი შეიცვალა ახლით.
8. შეკეთდა საეთერო ვიდეო კამერის კვების ბლოკი.
9. საეთერო სტუდიაში გასანათებელი მოწყობილობების დამჭერი ლითონის კონსტრუქციები შეერთდა „ტექნოლოგიური მიწის“ კაბელთან.
10. შეკეთდა ცენტრალური სააპარატოს უწყვეტი კვების წყაროს დაზიანებული ქულერები.
11. შეკეთდა ცენტრალური სააპარატოს ჩამწერი კომპიუტერის დაზიანებული კვების ბლოკი (შეკეთდა ქულერი, შეიცვალა კონდესატორები).
12. ლიტ-დრამ სტუდიაში შეკეთდა ფირიანი მაგნიტოფონის STM-610-ის წამყვანი მოტორი. ჩატარდა აღმდგენი თაურის იუსტირება და დარეგულირდა აღდგენის სიხშირული მახასიათებელი.
13. რადიომაუწყებლობის მეორე არხის გადამცემის დაზიანებული ფინალური ხმის პროცესორის აღდგენა მოხდა რადიოს ტექნიკური სამსახურის მიერ, რისთვისაც

მეხსიერების მიკროსქემების შეცვლა და მათი სრული გადაპროგრამება გახდა საჭირო. ამჟამად ხმის პროცესორი დაბრუნებულია FM გადამცემში და მუშაობს სამაუწყებლო მოთხოვნების სრული დაცვით.

14. რადიოპროგრამების აუდიოვიზუალური ჩამწერი-გამშვები მოწყობილობა "Markus-Pro" იქნა" გამოყენებული ვიდეო-ტიხრების და კოლაჟების ვიზუალურ პროგრამაში განთავსებისათვის. ამ მოწყობილობის გამოყენებამ ვიზუალურ საეთერო პროგრამაში ტიხრების განსათავსებლად საგრძნობლად გააუმჯობესა ტიხრების და კოლაჟების ეთერში განთავსებისას მიღწევადი გამოსახულების ხარისხი.
15. უწყვეტი მუშაობის შედეგად დაზიანდა რადიო ერთის ვიზუალური ვებ მაუწყებლობის ვიდეოკამერები. კამერებს დაერღვათ ფერების გადმოცემის სიმკვეთრე და გამოსასვლელი ანალოგური ვიდეოსიგნალების სინქრონიზაციის ხარისხი. მაუწყებლის ტექნიკური სამსახურის მიერ მოხდა ვიდეოკამერების სამუშაო პარამეტრების აღდგენა, შიდა ელექტრონული კომპონენტის თერმული დაზიანების პოვნა და აღმოფხვრა.
16. რადიომაუწყებლობის პირველი საზოგადოებრივი არხის ხმის პროცესორს „TC-Electronik", ძაბვის ვარდნის გამო დაუზიანდა კვების ბლოკი. რადიოს ტექნიკური სამსახურის მიერ მოხდა დაზიანებული ბლოკის აღდგენა. ხმის პროცესორის სამუშაო პარამეტრები აღდგენილ იქნა სამაუწყებლო მოთხოვნების შესაბამისად.
17. საეთერო სტუდიის მიმდებარე, ხმის რეჟისორების ოთახში მოხდა დაზიანებული სამუშაო კომპიუტერული ვიდეორედაქტირების პროცესორის აღდგენა, რამაც გააუჯობესა ვიდეომონტაჟის ჯგუფის სამუშაო პირობები და დააჩქარა რედაქტირება.
18. რადიოს სამ სამონტაჟოში შეიცვალა სამონტაჟო კომპიუტერები. დაყენდა ჩამწერი და სამონტაჟო პროგრამები, კავშირები სერვერთან და საეთერო კომპიუტერებთან.
19. რადიო 2-ის საეთერო კომპიუტერს დაუზიანდა კვების ბლოკი. შეცვლილი იქნა ახლით. კომპიუტერის კვების დაზიანებული ბლოკი შეკეთდა სარეზერვო დანიშნულებითსათვის.
20. დარეგულირდა რადიო 1-ის რადიოს კომუტატორიდან ტელეს ცენტრალურ სააპარატოში გამავალი სიგნალის პარამეტრები და დონეები.
21. რადიო 1-ის საეთერო ხმის პულტს დაუზიანდა წამყვანთან კავშირის სისტემა. ეთერი გადაირთო დროებით სქემაზე და შეკეთდა კავშირის სქემა.

22. რადიო 1-ის საეთერო კომპიუტერს დაუზიანდა კვების ბლოკი და პროცესორის ქულერი. მაუწყებლობა გადაყვანილ იქნა CD პლეიერზე და კვების დაზიანებული ბლოკი და პროცესორის ქულერი შეიცვალა ახლით.

## „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

### 1. ზოგადი ინფორმაცია

**ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ**

2015 წლის მეორე და მესამე კვარტალში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ საშუალოდ:

- დასაქმდა 55 პიროვნება,
- სამსახურიდან გათავისუფლდა 45 თანამშრომელი.
- სტაჟირება გაიარა 20 ადამიანმა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ თვეების მიხედვით:

| | თანამშრომელთა რაოდენობა | კონტაქტორი | განთავისუფლება (კონტაქტორი) | მიღება (კონტაქტორი) | სტაჟირება |
|---|---|---|---|---|---|
| აპრილი | 1058 | 1058 | 3 | 7 | 8 |
| მაისი | 1058 | 1058 | 6 | 6 | 5 |
| ივნისი | 1052 | 1052 | 7 | 1 | 3 |
| ივლისი | 1046 | 1046 | 12 | 6 | 4 |
| აგვისტო | 1049 | 1049 | 6 | 9 | 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სექტემბერი | 1064 | *1064* | *11* | *26* | *0* |

2. **საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოები**
   - ყოველდღიური მიმდინარე სამუშაოები: თანამშრომელთ მიღება, გათავისუფლება და გადაადგილება, შრომითი ხელშეკრულებების გაგრძელება, შვებულებების გაფორმება, სხვადასხვა ტიპის ბრძანებების გამოცემა და ასე შემდეგ;
   - მომზადდა ბრძანების პროექტი თანამშრომლებითვის, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში, დამატებითი ანაზღაურების ახალი წესის შესახებ;
   - განხორციელდა სადაზღვევო პოლისების ბაზების განახლება და ახალი ბარათების დარიგება;
   - ყოველთვიურად გაეგზავნა სადაზღვევო მონაცემები ბუღალტერიას, სადაზღვევო კომპანიას და ჯანდაცვის სამინისტროს. აღნიშნულ საანგარიშებო პერიოდში სადაზღვეო მონაცემები შეადგენს შემდეგს:

     2015 წლის II და III კვარტალში შპს '"სადაზღვევო კომპანია ალფა" და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის 2015 წლის 3 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაზღვეულ პირთა რაოდენობა თვეების მიხედვით:

     - აპრილის თვე -1056 დაზღვეული
     - მაისის თვე - 1054 დაზღვეული
     - ივნისის თვე -1051 დაზღვეული
     - ივლისის თვე - 1039 დაზღვეული
     - აგვისტოს თვე - 1036 დაზღვეული
     - სექტემბერის თვე - 1039 დაზღვეული

- აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში დამზადდა და გაიცა როგორც სახელფასო, ასევე საელჩოში წარსადგენი, სტაჟის შესახებ და სტაჟირების შესახებ ცნობები (ქართულ, ინგლისურ ენებზე):

  დამზადდა 687 ცნობა, აქედან გაიცა 610
- ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ოპერატორების სახელფასო განაკვეთების შესაძლო მომატებასთან დაკავშირებით. მოხდა ოპერატორების საქმიანობის ანალიზი, შემოთავაზებული პროექტის განხილვა და მათი საქმიანობიდან გამომდინარე ოპერატორების კატეგორიებად დაყოფა. ოპერატორების გარკვეული კატეგორიას გაეზარდათ თანამდებობრივი სარგო.
- იმ ოპერატორებს, რომლებსაც გაეზარდათ ხელფასი განუახლდათ ხელშეკრულებები;
- განხორციელდა რადიოს თანამშრომლებთან რამდენიმე შეხვედრა, მოხდა მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესწავლა, მსგავსი პოზიციების ანალიზი და მონაცემების შედარება. ჩატარებული სამუშაობის შედეგად რადიოს თანამშრომლების უმეტესობას გაეზარდათ თანამდებობრივი სარგო;
- განხორციელდა რადიოს ხმის რეჟისორების კატეგორიებად დაყოფა მათი საქმიანობიდან გამომდინარე;
- ამავე საანგარიშებო პერიოდში შერჩევის პოცესის გასაუბჯობესებლად შემუშავებული იქნა ონლაინ სააპლიკაციო ფორმა;
- შეიქმნა ასევე სარეზერვო ბაზა, სადაც განთავსდაგამოცხადებული ვაკანსიების შედეგად შემოსული რეზიუმეები;
- აღნიშნულ პერიოდში გამოცხადდა რამდენიმე ვაკანტური პოზიცია და ჩატარდა შემდეგი შესარჩევი სამუშაოები:

**1) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი-გამოცხადდა ვაკანსია;**

ვაკანსიის პროცედურები:

1) ვაკანსიის განთავსება დასაქმების ვებ-გვერდზე: www.jobs.ge და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

2) შესარჩევი კომისისს შექმნა ;
3) შემოსული CV-ების გადარჩევა;
4) კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება;
5) გასაუბრების ჩატარება;
6) დამატებითი ეტაპი-პრეზენტაციების წარდგენა;
7) გადაწყვეტილების მიღება.

სულ შემოვიდა 133 CV; CV-ების გადარჩევის შედეგად შეირჩა 14 კანდიდატი, რომლების დაბარებულები იქნენ მე-2 ტურზე- გასაუბრება. კონსულტაციების შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება მე-3 ტურის დანიშვნისა, რის შედეგადაც მე-3 ტურისთვის შეირჩა 4 კანდიდატი. ამ ტურისთვის შერჩეულ აპლიკანტებს დაევალათ პრეზენტაციის მომზადება და კომისიის წევრებისთვის თავიანთი სტრატეგიული მიზნების წარდგენა. მე-3 ტურის შედეგად იქნა გადაწყვეტილება მიღებული და შეირჩა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

**2) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი-გამოცხადდა კონკურსი**

კონკურსის პროცედურები:

1) ვაკანსიის განთავსება დასაქმების ვებ-გვერდზე: www.jobs.ge და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
2) შესარჩევი კომისიის შექმნა ;
3) შემოსული CV-ების გადარჩევა;
4) კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება;
5) გასაუბრების ჩატარება;
6) გადაწყვეტილების მიღება.

სულ შემოვიდა 45 CV; CV-ების გადარჩევის შედეგად შეირჩა 5 კანდიდატი, რომლებიც დაბარებულები იქნენ მე-2 ტურზე (გასაუბრება). გასაუბრებაზე გამოცხადდა 3 კანდიდატი. მე-2 ტურის შედეგად იქნა გადაწყვეტილება მიღებული და შეირჩა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

**3) გადაცემა „ჩვენი დილა“-წამყვანი-გამოცხადდა კონკურსი**

კონკურსის პროცედურები:

1) კონკურსის განთავსება დასაქმების ვებ-გვერდზე: www.jobs.ge და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
2) შესარჩევი კომისისს შექმნა ;
3) შემოსული CV-ების გადარჩევა;
4) კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება;
5) გასაუბრების ჩატარება;
6) ქასთინგის ჩატარება;
7) გადაწყვეტილების მიღება.

სულ შემოვიდა 306 CV; CV-ების გადარჩევის შედეგად შეირჩა 17 კანდიდატი, რომლებიც დაბარებულები იქნენ მე-2 ტურზე (გასაუბრებაზე მიმდინარეობდა არაფორმალური ვიდეო გადაღება);

გასაუბრების შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება და ქასთინგზე დაბარებულიები იყვნენ 7 კანდიდატი რის შედეგადაც შეირჩა 3 წამყვანი, ხოლო ერთი წამყვანი შეირჩა შიდა რესურსიდან. საერთო ჯამში კონკურის შედეგად შერჩეული იქნა 4 წამყვანი.

**4) იურისტი- გამოცხადდა ვაკანსია**

ვაკანსიის პროცედურები:

1) ვაკანსიის განთავსება დასაქმების ვებ-გვერდზე: www.jobs.ge და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
2) შესარჩევი კომისისს შექმნა ;
3) შემოსული CV-ების გადარჩევა;
4) კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება;
5) გასაუბრების ჩატარება;
6) გადაწყვეტილების მიღება.

სულ შემოვიდა 49 CV; CV-ების გადარჩევის შედეგად შეირჩა 4 კანდიდატი, რომლებიც დაბარებულები იქნენ მე-2 ტურზე. ოქტომბერში, დაბარებულ კანდიდატებთან ჩატარდა გასაუბრება. მე-2 ტურის შედეგად იქნა გადაწყვეტილება მიღებული და შეირჩა იურისტი.

5) სექტემბერში გამოცხადდა ვაკანსია მე-2 არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის წამყვანის პოზიციაზე. აპლიკაციების მიღების ვადად განისაზღვრა ოქტომბერი.

- სტაჟირების პროგრამის შექმნისთვის მოხდა სტაჟიორების მონაცემების შეკრება 2013-2015 წლეების პერიოდისთვის. მოპოვებული მონაცემებს გამოყენებით ჩატარდა სტაჟირების მოთხოვნის ანალიზი საქმიანობის სფეროს მიხედვით და 2013, 2014, 2015 წლეების მიხედვით. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით დაიწყო საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის „სტაჟირების პროგრამის" შემუშავება.
- 2015 წლის 18 მაისის N 74 ბრძანების საფუძველზე სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ თავის ბაზაზე და საკუთარი რესურსებით შეიქმნა ჟურნალისტური აკადემია. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" თანამშომლება შეასრულეს ჟურნალისტური აკადემიის ტრენერების ფუნქცია, რისთვისაც მათ განესაზღვრათ დამატებითი შრომის ანაზღაურება.

ტრენერები:

1 გიორგი ჩართოლანი
2 დონარა შონავა
3 თამარ კაციტაძე
4 რევაზ ჭიჭინაძე
5 სვეტლანა ალიმოვა
6 ლაშა მიქაძე
7 ლიგია ხურციძე
8 რამინ მელაძე
9 ილია თავბერიძე
10 ნინო თარგამაძე

ტრეინინგები დაიწყო 2015 წლის 23 მაისს და მიმდინარეობდა 2015 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით. ტრეინინგების ჩატარების დღეებად განისაზღვრა არასამუშაო დღეები (შაბათ-კვირა). მთლიანი პერიოდის განმავლობაში ტრენინგების საერთო რაოდენობამ შეადგინა 25 არა სამუშაო დღე.

ტრეინინგებს კოორდინაციას უწევდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახური: შეხვედრების დაგეგმვა ; ყოველი ტრენინგის წინ ჟურნალისტური აკადემიის წევრებთან, ტრენერებთან და ჟურნალისტებთან კომუნიკაცია და დროის, გრაფიკისა და ტრენინგის თემატიკის გაცნობა; დასწრების კონტროლი, გრაფიკთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და გრაფიკის შედგენა; სატრენინგო ოთახის მომზადება ტრენინგისთვის; საჭირო ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების და ტექნუკური საშუალებების მოძიება და ოთახში განთავსება, სატრეინინგო ოთახის სისუფთავის და გამართულობის კონტროლი, საჭირო ტექნიკური პერსონალის მობილიზება ტექნიკის ასაწყობად და გამართული ფუნქციონირებისათვის; EBU-ს აკადემიის წევრებთან კომინიკაციის წარმოეაბ აკადემიის მიმდინარე და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით; ტრეინინგის მონაწილეებისთვის სერტიფიკატების დასამზადებლად EBU-სთვის საჭირო ინფომრაციის გადაცემა;

- თანამდებობრივი ინსტრუქციების შექმნისთვის შემუშავებული იქნა საქმიანობის ანალიზის ფორმა და მისი შემადგენელი კითხვები. საქმიანობის ანალიზი ითვალისწინებს სამუშაოს შესახებ ინფორმაციის შეკრებას, ანალიზს და დეტალურ ჩამოყალიბებას, რომელიც საფუძვლად დაედება თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
- შემუშავებული იქნა შვებულების გაფორმების ახალი ფორმა, რომელიც განახლდა და ძალაში შევიდა 2015 წლის 1 სექტემბრიდან.
- დაიწყო პროექტის განხილვა შვებულების გაფორმების ბარათისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად და პროგრამისტთან ერთად სამუშაობის ჩატარება.
- ხელმძღვანელი პირებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად და პროცედურებში უკეთესად გასათვითცნობიერებლად, დაიწყო სახელმძღვანელოს შექმნა „ ინსტრუქცია ხელმძღვანელი პირებისთვის“. აღნიშნული დოკუემენტი არსებობს დრაფტის სახით და დახვეწის პროცესში იმყოფება.

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი**

1. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქება
2. საპარლამენტო სხდომების ტრანსლირება
3. მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ტრანსლირება
4. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება
5. სახელმწიფოს მართვის, კანონშემოქმედებითი პროცესების გამჭვირვალეობისა და მათში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა
6. დისკუსიების, დებატების სტიმულირება,პოლიტიკური კულტურის დანერგვა
7. მოწინავე დასავლური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება

მიგვაჩნია, რომ არხმა თავისი სამაუწყებლო სტრატეგიით, განვლილი საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილ ასახვას

იმ მემორანდუმის ფარგლებში,რომელიც გაფორმდა პოლიტიკურ პარტიებს,პარლამენტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, კვალიფიციური პარტიების აბსოლუტური და პოლიტიკური ძირითადი აქტორების უმრავლესობას საშუალება ჰქონდა ესარგებლა არხის ეთერით

გადაცემა „თავისუფალი ტრიბუნა“ შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე, მორიგეობით, მასპინძლობდა მემორანდუმზე ხელმომწერ 23 პარტიას,ხოლო რუბრიკით „ბრიფინგის დრო“მაყურებელს საშუალება ჰქონდა დაუმონტაჟებლად ეხილა ყველა ის ბრიფინგი,პრესკონფერენცია თუ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ინტერესს წარმოადგენდა

გადაცემათა ნუსხას საანგარიშო პერიოდში დაემატა კიდევ ერთი გადაცემა“პოლიტალტერნატივა“,ეს ფორმატი განკუთვნილია იმ 12 პოლიტიკური პარტიისთვის,რომლებსაც ერთი დეპუტატი მაინც ჰყავთ თვითმართველობით ორგანოებში.

კიდევ ერთი ახალი გადაცემა შევთავაზეთ მაყურებელს,“ჩვენი პარლამენტი“.ეს ყოველკვირეული გადაცემაა და წარმოადგენს კვირის საპარლამენტო ქრონიკას.

საანგარიშო პერიოდში მეორე არხის ეთერით გადიოდა ჟურნალისტური გამოძიება“გამომძიებელი რეპორტიორი“.ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა საგამოძიებო ფილმები,რომლებიც მაღალი რეიტინგით გამოირჩა.

ჩვენს პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში მეორე არხის ეთერში გადის გერმანული სამაუწყებო კომპანიის „გერმანული ტალღა“ საიფორმაციო რუსულენოვანი პროგრამა“ნოვოსტი“ და ამერიკული სამაუწყებლო კომპანიის ‘თავისუფლების“რუსულენოვანი ანალიტიკური პროგრამა „რეალური დრო“

მეორე არხის ეთერით ეთნიკურ უმციროსებებს საშუალება აქვთ ნახონ პროგრამა „მოამბის“გამოშვებები აფხაზურ,ოსურ,სომხურ,აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და უნივერსიტეტსა და აფხაზეთის მთავრობას შორის გაფორმებული მემორანდუმების შედეგად მეორე არხის ეთერშია განთავსებული გადაცემები „უნივერსიტეტი“,“ალტერეგო“ და „აფხაზეთი“.

**ინფორმაცია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაწეული ხარჯების შესახებ**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2015 წლის II კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 501.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 149.9 ათასი ლარი, სულ 8 651.4 ათასი ლარი.

**ხელფასები**

2015 წლის II კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 298.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 10.1 ათასი ლარი, სულ - 4 308.2 ათასი ლარი.

**მივლინებები**

2015 წლის II კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 270.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 15.6 ათასი ლარი, სულ - 286.3 ათასი ლარი.

**სამეურვეო საბჭოს ხარჯები**

2015 წლის II კვარტალში სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 102.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1.4 ათასი ლარი, სულ - 103.6 ათასი ლარი.

**მონიტორინგის საბჭოს ხარჯები**

2015 წლის II კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 42.0 ათასი ლარი.

**სხვა ადმინისტრაციული ხარჯები**

2015 წლის II კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 680.5 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 641.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 39.3 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 95.2ათასი ლარი;
- წყალი - 18.4 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი -2.0 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 19.6 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 71.2 ათასი ლარი;

- ავტომობილების დაზღვევა - 3.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 8.4 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 23.1 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები -8.3 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 1.7 ათასი ლარი;
- ავტოპარკის განახლება - 124.7 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი -16.2 ათასი ლარი;
- აუდიტორული მომსახურება - 70.6 ათასი ლარი;
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - 11.2 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 70.4 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 63.9 ათასი ლარი;
- ფართის ქინავნობა/სხვა იჯარა - 1.5 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 9.3 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 21.3 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 40.3 ათასი ლარი.

## მარკეტინგის ხარჯები

2015 წლის II კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 26.8 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 23.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.8 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 23.0ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 3.8 ათასი ლარი;

## პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2015 წლის II კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 1 055.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 60.3 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 115.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 191.4 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 313.2 ათასი ლარი;
- ქართული ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 11.2 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 319.3 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 167.4 ათასი ლარი;

- გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 65.4 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 47.7 ათასი ლარი;

**<u>საინფორმაციო სამსახურის ხარჯები</u>**

მაუწყებლის მიერ 2015 წლის II კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 133.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.6 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 137.5 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 98.2 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 35.7 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 3.6 ათასი ლარი.

**<u>ტექნიკის ხარჯები</u>**

მაუწყებლის მიერ 2015 წლის II კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 1 332.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 12.0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 344.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 270.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 141.1 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 42.0 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 85.0 ათასი ლარი;
- ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები - 374.0 ათასი ლარი;
- კომპიუტერები - 130.7 ათასი ლარი;
- კამერები - 205,1 ათასი ლარი;
- ლიცენზირებული ანტივირუსი -11.9 ათასი ლარი;
- კასეტებისა და ელემენტების შეძენა - 11.3 ათასი ლარი;
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 73.4 ათასი ლარი.

**<u>სხვა გადასახდელები</u>**

2015 წლის II კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 602.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 3.8 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა 606.3 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სახელმწიფო სესხის წინსწრებით სრული დაფარვა – 0 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევრო გადასახადი - 0 ათასი ლარი;
- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 409.3 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალიანების დაფარვა - 0 ათასი ლარი;
- მოგების გადასახადი - 13.3 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 21.3 ათასი ლარი;
- 26 მაისის ღონისძიება - 158.6 ათასი ლარი;
- სხვა საგადასახადო ხარჯი - 3.8 ათასი ლარი.

## ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 2015 წელს გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

(თანხები მოცემულია ლარებში)

| # | დასახელება | აპრილი | მაისი | ივნისი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შრომის ანაზღაურება** | **1,416,494** | **1,433,310** | **1,438,662** | **4,288,465** |
| 2 | **პრემია** | | | | **-** |
| 3 | **სოციალური უზრუნველყოფა** | **8,384** | **1,263** | | **9,648** |
| 4 | **მივლინებები** | **98,261** | **89,911** | **82,565** | **270,737** |
| 5 | **სამეურვეო საბჭო** | **38,650** | **35,716** | **27,816** | **102,182** |
| 5.1 | ჰონორარები | 21,500 | 19,750 | 19,350 | **60,600** |
| 5.2 | სხვა ხარჯები | 17,150 | 15,966 | 8,466 | **41,582** |
| 6 | **მონიტორინგის საბჭო** | **14,000** | **14,000** | **14,000** | **42,000** |
| 6.1 | ჰონორარები | 14,000 | 14,000 | 14,000 | **42,000** |
| 7 | **ადმინისტრაციული** | **205,573** | **202,480** | **233,106** | **641,160** |
| 7.1 | **კომუნალური ხარჯები** | **45,963** | **38,291** | **34,027** | **118,281** |
| 7.1.1 | წყალი | 6,162 | 5,911 | 6,318 | **18,392** |
| 7.1.2 | დენი | 37,694 | 30,732 | 26,809 | **95,235** |
| 7.1.3 | გაზი | 1,208 | 747 | | **1,955** |
| 7.1.4 | სხვა (დასუფთავება/სანიტარული) | 900 | 900 | 900 | **2,700** |
| 7.2 | **შენობის დასუფთავება** | **5,720** | **6,182** | **7,727** | **19,629** |
| 7.2.1 | "Top House-Georgia" | 5,720 | 6,182 | 7,727 | **19,629** |
| 7.3 | **წარმომადგენლობითი ხარჯები** | | | | **-** |
| 7.4 | **ჟურნალ-გაზ. დაწიგნების მიწ.** | **1,092** | **929** | **1,065** | **3,087** |
| 7.4.1 | შპს "ინფოსერვისი' | 120 | 120 | 240 | **480** |
| 7.4.2 | შპს "ელვა.ჯი' | 972 | 809 | 825 | **2,607** |
| 7.5 | **ტრანსპორტი** | **25,996** | **114,261** | **69,558** | **209,816** |
| 7.5.1 | ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება) | 3,571 | 768 | 4,017 | **8,356** |
| 7.5.1.1 | ავტოსერვისცენტრ+ | | | | **-** |
| 7.5.1.2 | ბიზნეს ჯგუფი 2010 | | | | **-** |
| 7.5.1.3 | R - მოტორსი | 3,571 | 768 | 4,017 | **8,356** |
| | GT-Motors | | | | **-** |
| 7.5.2 | სათადარიგო ნაწილები | - | - | - | **-** |
| 7.5.2.1 | თეგეტა | | | | **-** |
| 7.5.2.2. | Type II | | | | **-** |
| 7.5.3 | ავტოტრანსპორტის დაზღვევა | 994 | 1,064 | 1,138 | **3,196** |
| 7.5.3.1 | ირაო | | | 109 | **109** |
| 7.5.3.2 | ქართუ | 994 | 1,064 | 1,029 | **3,087** |
| 7.5.4 | საწვავ-საპოხი მასალები | 21,431 | 22,581 | 27,404 | **71,415** |
| 7.5.4.1 | ბენზინი | 19,245 | 19,930 | 23,510 | **62,684** |
| 7.5.4.2 | დიზელი | 2,186 | 2,470 | 3,894 | **8,551** |
| 7.5.4.3 | ზეთი | | 180 | | **180** |
| 7.5.5 | ავტოპარკის განახლება | - | 89,848 | 37,000 | **126,848** |
| 7.5.5.1 | ახალი მანქანების შეძენის ხარჯი | | 87,748 | 37,000 | **124,748** |
| 7.5.5.2 | "სიტი -პარკი" | | 2,100 | | **2,100** |
| 7.6 | **კავშირგაბმულობა** | **15,847** | **18,327** | **18,307** | **52,481** |
| 7.6.1 | მობილურების ხარჯი | 5,968 | 8,746 | 8,427 | **23,140** |
| 7.6.1.1 | მაგთიკომი | 5,968 | 8,746 | 8,427 | **23,140** |
| 7.6.2. | სატელეფონო საუბრები | 2,914 | 2,568 | 2,857 | **8,339** |
| 7.6.2.1 | სს "სილქნეტი" | 2,914 | 2,568 | 2,857 | **8,339** |
| 7.6.3 | ინტერნეტი | 6,434 | 6,499 | 6,499 | **19,432** |
| 7.6.3.1 | სს "სილქნეტი" | 2,999 | 2,999 | 2,999 | **8,997** |
| 7.6.3.2 | შპს "კავკასუს ონლაინი" | 435 | 500 | 500 | **1,435** |
| 7.6.3.3 | სს "სილქნეტი" | 3,000 | 3,000 | 3,000 | **9,000** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.6.4 | კავშირგაბმულობა (სხვადასხვა) | 530 | 515 | 525 | **1,569** |
| 7.6.4.1 | 112-ის მომსახურება | 530 | 515 | 525 | **1,569** |
| 7.6.4.2 | Type II | | | | **-** |
| **7.7** | **შენობა-ნაგებობების დაცვა** | **17,600** | **17,600** | **35,200** | **70,400** |
| 7.7.1 | დაცვის ხარჯი (თბილისი) | 17,600 | 17,600 | 35,200 | **70,400** |
| **7.8** | **საფოსტო მომსახურება** | **229** | **266** | **72** | **567** |
| 7.8.1 | შპს "საქართველოს ფოსტა" | 229 | 266 | 72 | **567** |
| 7.8.2 | შპს "არამექსი" | | | | **-** |
| **7.9** | **საკანცელარიო საქონელი** | **9,945** | **6,299** | | **16,244** |
| **7.10** | **მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა** | **-** | **-** | **858** | **858** |
| 7.10.1 | კომპ. ტექნიკა და აქსეექს. (<500ლ) | | | | **-** |
| 7.10.2 | კარტრიჯები, საბეჭდი მასალები | | | 858 | **858** |
| **7.11** | **ოფისის სხვა ხარჯები (ჟალუზი,სავარძ, სხვა)** | | | | **-** |
| **7.12** | **იჯარა** | **-** | **-** | **-** | **-** |
| 7.12.1 | საოფისე ფართის ქირავნობა | | | | **-** |
| 7.12.2 | სხვა იჯარა (ადმინ.) | | | | **-** |
| **7.13** | **უძრავი ქონების დაზღვევა** | | | | **-** |
| **7.14** | **სამშ-სარემონტო სამუშაოები** | **11,182** | | | **11,182** |
| **7.15** | **აუდიტორული და საექსპერტო მომს.** | **39,318** | | **31,330** | **70,648** |
| **7.16** | **საარქივო მომსახურება** | **-** | **-** | **413** | **413** |
| 7.16.1 | წიგნების აკინძვა "ტატიანა ყელაურიძე" | | | 413 | **413** |
| **7.17** | **სანოტარო და სათარჯიმნო მომს.** | **-** | **-** | **2,924** | **2,924** |
| 7.17.1 | სანოტარო მომსახურება | | | | **-** |
| 7.17.2 | სათარჯიმნო მომსახურება | | | 2,924 | **2,924** |
| **7.18** | **სასამართლო ბაჟი** | | | | **-** |
| **7.19** | **თანამშრომელთა დაზღვევის** | **32,681** | | **31,223** | **63,904** |
| **7.20** | **საწყობის მოწყობა** | | | | **-** |
| **7.21** | **სხვა ხარჯები** (მათ შორის სატენდ.) | | **325** | **400** | **725** |
| **8** | **მარკეტინგი და გაყიდვები** | **7,667** | **7,667** | **7,667** | **23,000** |
| **8.1** | **PR** | **-** | **-** | **-** | **-** |
| 8.1.1 | ბრენდირება | | | | **-** |
| 8.1.2 | სასაჩუქრე პაკეტები | | | | **-** |
| 8.1.3 | სხვა ღონისძიებები | | | | **-** |
| **8.2** | **სოციალური კვლევები** | **7,667** | **7,667** | **7,667** | **23,000** |
| 8.2.1 | თვისობრივი კვლევა (ფიფლმეტრი) "TV MR საქ | 7,667 | 7,667 | 7,667 | **23,000** |
| 8.2.2 | სატელეფონო კვლევა | | | | **-** |
| 8.2.3 | რაოდენობრივი კვლევა - ბაზრის სეგმენტაცია | | | | **-** |
| **9** | **საინფორმაციო** | **49,749** | **18,816** | **65,385** | **133,949** |
| **9.1** | **სიგნალის გადმოგორება** | **19,664** | **16,870** | **61,673** | **98,207** |
| 9.1.1 | სიგნალის გადმოგორება (EBU) | 19,664 | 16,870 | 61,673 | **98,207** |
| 9.1.2 | სიგნალის გადმოგორება (სხვა ორგანიზაციები) | | | | **-** |
| **9.2** | **ინფორმაციის მოწოდება** | **30,085** | **1,946** | **3,712** | **35,742** |
| 9.2.1 | შპს "ჯეოჰოტნიუსი' | 590 | 590 | 1,180 | **2,360** |
| 9.2.2 | შპს "ახალი ამბები" (ინტერპრესნიუსი) | 520 | 520 | 1,040 | **2,080** |
| 9.2.3 | შპს "მედიანიუსი" | 180 | 180 | 180 | **540** |
| 9.2.4 | შპს ახალი ამბების სააგენტო "კავკასპრესი" | 206 | 206 | 412 | **823** |
| 9.2.5 | შპს "პირველი' | 450 | 450 | 900 | **1,800** |
| 9.2.6 | 'REUTERS TELEVISION LTD' | 28,139 | | | **28,139** |
| **10** | **პროდიუსინგი** | **499,780** | **346,751** | **208,769** | **1,055,301** |
| **10.1** | **სიგნალის გადმოგორება** | **65,446** | **12,852** | **113,104** | **191,403** |
| 10.1.1 | სააღდგომო | 29,940 | | | **29,940** |
| 10.1.2 | ჩემპიონთა ლიგა 2015 | | 8,116 | 27,645 | **35,761** |
| 10.1.3 | 2015 ჩემპიონთა ლიგის დღიური | 35,507 | 4,736 | | **40,242** |
| 10.1.5 | სხვა სპორტი: | - | - | 85,459 | **85,459** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.1.5.1 | ფეხბურთის ამხანაგური მატჩები | | | 28,983 | **28,983** |
| 10.1.5.4 | ჭიდაობა/ძიუდო/სხვა | | | 56,476 | **56,476** |
| 10.1.5.5 | რაგბის ტესტ მატჩი/ერთა თასი | | | | **-** |
| **10.2** | **ლიცენზიები** | **278,377** | **-** | **34,780** | **313,157** |
| 10.2.1 | 2015 წლის ჩემპიონთა ლიგა | | | | **-** |
| 10.2.2 | 2016 წლის ოლიმპიადა (sportfive) | 81,300 | | | **81,300** |
| 10.2.3 | ევრო/მსოფლიო 2016-2018 საკვალიფ. | 197,077 | | | **197,077** |
| 10.2.4 | 2016-2018 საკვალიფ. ჰაილაითის პროგრამა | | | | **-** |
| 10.2.5 | კალათბურთი - ევრობასკეტი | | | | **-** |
| 10.2.6 | რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი | | | | **-** |
| 10.2.7 | 2018 წლის მსოფ. ჩემპიონატი | | | | **-** |
| 10.2.8 | The Five other events - კონფედერაციის თასი | | | 34,780 | **34,780** |
| 10.2.9 | ევრო თასების ფეხბურთი | | | | **-** |
| 10.2.10 | რაგბის ერთა თასი | | | | **-** |
| 10.2.11 | 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი | | | | **-** |
| **10.3** | **ქართული ფილმები** | **9,810** | **1,380** | **-** | **11,190** |
| 10.3.1 | ქართული ფილმების შეძენა | 9,810 | 1,380 | | **11,190** |
| 10.3.2 | კინოპროექტი | | | | **-** |
| **10.4** | **მიმდინარე გადაცემები** | **-** | **-** | **-** | **-** |
| 10.4.1 | გადაცემა X | | | | **-** |
| 10.4.2 | გადაცემა X | | | | **-** |
| 10.4.3 | გადაცემა X | | | | **-** |
| 10.4.4 | გადაცემა X | | | | **-** |
| 10.4.5 | გადაცემა X | | | | **-** |
| 10.4.6 | გადაცემა X | | | | **-** |
| **10.5** | **ვიზუალური მომსახურება** | **-** | **4,664** | **-** | **4,664** |
| 10.5.1 | საპარიკმახერო | | | | **-** |
| 10.5.2 | კოსმეტიკა | | 4,664 | | **4,664** |
| 10.5.3 | კოსტიუმები / რეკვიზიტები | | | | **-** |
| 10.5.4 | სარეცხი საშუალებები | | | | **-** |
| **10.6** | **ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლ** | **2,800** | **2,800** | **2,800** | **8,400** |
| 10.6.1 | ბოლნისი | 600 | 600 | 600 | **1,800** |
| 10.6.2 | ახალქალაქი | 600 | 600 | 600 | **1,800** |
| 10.6.3 | ნინოწმინდა | 600 | 600 | 600 | **1,800** |
| 10.6.4 | ზუგდიდი | 1,000 | 1,000 | 1,000 | **3,000** |
| **10.7** | **უცხოური ფილმები** | **43,854** | **275,446** | **-** | **319,300** |
| 10.7.1 | სერიალები | 43,854 | 134,510 | | **178,363** |
| 10.7.2 | ანიმაცია | | 140,936 | | **140,936** |
| 10.7.3 | კინო | | | | **-** |
| 10.7.4 | დოკუმენტური ფილმები | | | | **-** |
| **10.8** | **ევროვიზია (დიდების)** | **84,486** | **49,609** | **30,290** | **164,385** |
| **10.9** | **ევროვიზია (პატარების)** | | | | **-** |
| **10.10** | **ახალი სეზონისა და ახალი წლის ხარჯი** | | | | **-** |
| **10.11** | **REUTERS TELEVISION LTD' საარქივო მასალის შ** | **15,007** | | | **15,007** |
| **10.12** | **გადაცემებისთვის ფორმატების ლიცენზიის შესყიდვა** | | | **27,796** | **27,796** |
| **10.13** | **დეკორაციები** | | | | **-** |
| **11** | **ტექნიკური** | **481,316** | **595,815** | **255,395** | **1,332,527** |
| **11.1** | **ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი** | **14,000** | **14,000** | **14,000** | **42,000** |
| 11.1.1 | TULIX SISTEMS,inc | 14,000 | 14,000 | 14,000 | **42,000** |
| **11.2** | **კასეტებისა და ელემენტების შეძენა** | **11,300** | | | **11,300** |
| **11.3** | **ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელ** | **90,000** | **90,000** | **90,000** | **270,000** |
| **11.4** | **სატელიტის მომსახურება** | **40,940** | **93,231** | **6,905** | **141,076** |
| 11.4.1 | TURKSAT & AZERCOSMOS | 40,940 | 82,044 | | **122,984** |
| 11.4.2 | სხვა სატელიტური სეგმენტით მომსახურება | | 11,187 | 6,905 | **18,092** |

